

საკრებულოს "მარადმწვანე ინტერესები" A2



თავდაცვის სისტემაში საკადრო ცვლილებები მიმდინარეობს A3



ქალების შესახებ A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 9 ივლისი, 2005 წელი. №154 (1014) — ფასი 50 თეთრი


## გაფრთხილება - სკოლებს, რჩევები - დამსვენებლებს

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია დედაქალაქის სკოლებს, თუკი ერთ თვეში სანიტარიული მდგომარეობა არ მოწესრიგდება, დახურვით ემუქრება. ზაფხულში დასვენების მსურველებს კი რჩევებით ამარაგებს.*

წლის განმავლობაში შემოწმებული 74 სკოლიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა 13 სკოლაში (№ 187, 58, 59, 94, 66, 169, 154, 103, 70, 177, 162, 151 და პირველი დამხმარე სკოლები). დაზიანებული შენობების, სახურავების, სპორტული დარბაზების გარდა, სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია წყალ-კანალიზაციის ქსელი და კვების ბლოკები. 161-ე სკოლის კვების ბლოკის ხელმძღვანელი, ინდ. მეწარმე თამაზ სინჯიაშვილი კი ინსპექციამ 50 ლარითაც დააჯარიმა. თუმცა, აღნიშნულ სკოლაში, კვების ბლოკის გარდა, ტუალეტებიც საშინელ მგომარეობაშია. ანტისანიტარიის გამო, ბავშვები ტუალეტში ვერ შედიან. სანიტარიული სამსახური ამ პრობლემის მოგვარებასაც გვპირდება. **"დედაქალაქის ყველა სკოლას მივეცით სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღინისძიებების გეგმა-დავალებები და რომელ სკოლაშიც 10 სექტემბრამდე სანიტარიული მდგომარეობა მოწესრიგებული არ იქნება, სკოლა დაიხურება,"** - აცხადებს ინსპექციის ხელმძღვანელობა.

ზაფხულის სიცხეში გაგრილების მსურველებს კი ინსპექცია სასარგებლო რჩევებს აძლევს. ახლახან ინსპექციის წარმომადგენლებმა თბილისში არსებული ღია წყალსატევების ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ საბანაოდ მხოლოდ თბილისის ზღვა და კუს ტბა გამოდგება. რაც შეეხება თბილისის გარეთ დამსვენებლებს, სანიტარებს რჩევები მათთვისაც მოეპოვებათ. თუკი ზღვაზე წასვლის წინ ტატუს გაკეთება გადაწყვიტეთ, ჯობს, გადაიფიქროთ. ტატუირება სალონებში გასული ზაფხულიდან აიკრძალა, მალულად გაკეთებული ტატუ კი, შეიძლება ძალიან ძვირად დაგიჯდეთ. სალონების დიდ ნაწილს სტერილიზატორი არ აქვს, კერძო ბინაში კი ტატუირებისთვის საჭირო სანიტარიული პირობების დაცვა, მით უმეტეს, ჭირს. არაასტერილური ნემსები და ჭურჭელი კი შიდსის, "ბ" და "ც" ჰეპატიტების გავრცელების საუკეთესო წყაროა.

ასე რომ, თუკი მაინცდამაინც ლისის ტბასა და მდინარე ვერაზე ბანაობას არ მოინდომებთ და პლიაჟზე მოუხატავ სხეულს გაირუჯავთ, ზაფხულს მშვიდობიანად გადაურჩებით.

### ამინდი

| | 9/07 | 10 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ტყიბული | 33 | 33 |
| სოხუმი | 32 | 33 |
| დმანისი | 27 | 28 |
| გორი | 30 | 31 |
| ონი | 27 | 27 |
| ზუგდიდი | 35 | 35 |
| ახმეტა | 34 | 35 |
| გაგრა | 32 | 32 |
| სამტრედია | 35 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| უცხოეთი | A 4 |
| კვირა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


## გამოცდებზე შსს-ც იზრუნებს

**"ერთიანი ეროვნული გამოცდები კარგად ორგანიზებული იქნება,"** - განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან ერთობლივად გამართულ ბრიფინგზე.



ეს შეეხება, პრაქტიკულად, გამოცდების ყველა შემადგენელ სეგმენტს და მათ შორის, უმთავრესს - უსაფრთხოებას. უზრუნველყოფილი იქნება როგორც კონფიდენციალურობა, ასევე აბიტურიენტების და საგამოცდო ცენტრების დაცვა. **"ყველა შენობა წინასწარ იქნება "განაღმული", აბიტურიენტები რეგისტრაციას დეტექტორებითაც გაივლიან, ჩვენი ძალებით იქნება დალუქული, როგორც ცენტრების შენობები, ასევე შტაბი, სადაც მოხდება ნამუშევრების გასწორება,"** - თავის მხრივ განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

კითხვაზე, რა საშიშროებას უნდა ველოდოთ გამოცდებზე, რომელიც უსაფრთხოების ასეთ ღონისძიებებს მოითხოვს, მერაბიშვილმა ის 21 ზარი დაასახელა, რომელიც სკოლებში ჩადებული ბომბების შესახებ იუწყებოდა. ასე რომ, ტყუილად ნურავინ შეეცდება ხუმრობას, არ გამოუვათ. აბიტურიენტებს კი მინისტრმა მაღალი სამოქალაქო კულტურისა და ხასიათის სიმტკიცისაკენ მოუწოდა, რომ "პატრულმა" და "დეტექტორებმა" არ დააფრთხოს ისინი, რადგან ეს სწორედ მათი უსაფრთხოებისთვის კეთდება. ალექსანდრე ლომაიამ შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცა წერილობითი მადლობა იმ სამოცდაათი თანამშრომლის სახელზე, რომლებმაც დღემდე დიდი დახმარება გაუწიეს ერთიან გამოცდებს ლონდონიდან ფოთში ჩამოსული ტვირთის ტრანსპორტირებისა და ბანკში დაცვისას.

*24 საათი*

## კანონთცვენა პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სესიის ბოლო სხდომა ჩატარდა, რომლის გახსნისთანავე დეპუტატებმა პატივი მიაგეს ლონდონში მომხდარი ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას. ალბათ, ერთგვარად სიმბოლური იყო ის ფაქტი, რომ წუთიერი დუმილის შემდეგ, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის განხილვა დაიწყო. დოკუმენტი პარლამენტარებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა წარუდგინა.

კონცეფციის საწინააღმდეგო არაფერი აქვს ოპოზიციას, რომელიც ბოიკოტს აგრძელებს და გუშინდელ სხდომასაც არ დასწრებია. რასაკვირველია, კონცეფციას უპირობოდ უჭერს მხარს საპარლამენტო უმრავლესობა, რაც კენჭისყრის შედეგზეც აისახა: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პარლამენტმა 136 ხმით ერთსულოვნად მოიწონა.

გუშინ, ასევე ერთხმად, საარჩევნო კოდექსში შეტანილი იქნა ის ცვლილებები და დამატებები (მეორე მოსმენით), რომლითაც თბილისის საკრებულოს არჩევის პროცედურა განისაზღვრება. 142 რეგისტრაციაგავლილი დეპუტატიდან კანონპროექტს 129-მ დაუჭირა მხარი, თუმცა, დანარჩენი ცამეტიდან წინააღმდეგი არავინ წასულა - მათ, უბრალოდ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. ვინაიდან ერთ სასესიო კვირაში კანონპროექტის ერთბაშად სამი მოსმენით მიღება არ შეიძლება, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მესამე მოსმენით შეტანა საშემოდგომოდ გადაიდო.

კანონპროექტის ინიციატორის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, საბოლოო მიღებამდე, დოკუმენტი, შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნებათ. თუმცა, ასეთი გადაწყვეტილება ცოტა უცნაურად გამოიყურება: მეორე მოსმენით მიღების შემდეგ, კანონპროექტში რაიმე ცვლილების შეტანა (რედაქტირების გარდა) შეუძლებელია და, ამდენად, როგორი ფასეული რჩევებიც არ უნდა გამოთქვან უცხოელმა ექსპერტებმა, ისინი საარჩევნო კოდექსში ველარ აისახება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მედიცინის ფაკულტეტის რეორგანიზაციას მთავრობის ხელშეწყობა სჭირდება

ნანა ქადაგიშვილი

*23 ივნისს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხილვა მოეწყო. განხილვის მონაწილეთა შორის (უნივერსიტეტის რექტორატის, სამეცნიერო საბჭოს, განათლების, მეცნიერებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები) აღნიშნული გეგმის შესახებ რაიმე კრიტიკული შენიშვნა არავის გამოუთქვამს. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ მედიცინის ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა ხარისხიანი სწავლებისა და, შესაბამისად, ევროპულ სივრცესთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა. ამ ყველაფრის მისაღწევად კი, უპირველესად, აღნიშნული გეგმის პრაქტიკაში განხორციელება, ანუ დაფინანსებაა საჭირო.*
*თუ რას ითვალისწინებს მედიცინის ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ამის შესახებ გვესაუბრება ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ვანო ბოკერია, რომელიც ოთხი თვეა, ამ თანამდებობაზე დაინიშნა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ვანო ბოკერიამ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის განვითარების გეგმა წარმოადგინა.

## საპროტესტო აქცია კონფლიქტის ზონაში

*ერთი თვის წინ, ცხინვალიდან გატაცებული ოთხი ქართველის ახლობლები, მათი დაბრუნების მოთხოვნით, აქციებს აწყობენ. ყველა მხარის დაპირებების მიუხედავად, მამუკა, გალაქტიონ, ჰამლეტ ხაჭაპურიძეებისა და მამუკა ლომიძის ბედი კვლავ გაურკვეველია.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გუშინ დაკარგულების ნათესავებმა, დილის შვიდ საათზე, კეხვში დიდი ლიახვის ხეობის გზა გადაკეტეს. ისინი გატაცებულთა ცოცხლად დაბრუნებას ან გარდაცვლილთა გვამების გადაცემას ითხოვდნენ. მათ უსაფრთხოებას ქურთის პოლიციის ქვედანაყოფები იცავდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის ხელისუფლება ითხოვს გატაცებულების მარეკ დუდაევზე გადაცვლას. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი ვაჟა ხაჭაპურიძე სატელეფონო საუბარში ამ ინფორმაციას კიდევ ერთხელ ადასტურებს: **"გატაცებულები რომ ცოცხლები არიან, ამის იმედს არ ვკარგავთ. ისინი გარდაცვლილები არავის უნახავს და, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცოცხლები არიან. ის ინფორმაცია, რაც თქვენ გაგაჩნიათ, ჩემთვის ცნობილია, მაგრამ საუბრები არ ხდება სამთავრობო დონეზე. მოლაპარაკება და ინფორმაციის გაჟღერება უფრო არალეგალურ დონეზე ხდება. ამიტომ ველოდებით, იქნებ დაისახოს და გამოიკვეთოს კონკრეტული წინადადებები, რათა ვიცოდეთ, რა ვერსიაზე შეიძლება ვიმუშაოთ შემდგომში. მოხდარის შემდეგ ჩვენთან, როგორც ძალოვნების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არ წყდება მუშაობა. ოსი და ქართველი სამართალდამცველები ერთობლივად მუშაობენ. ჯერჯერობით, გვამები არსად არის აღმოჩენილი. ვფიქრობ, რომ ხაჭაპურიძეები და ლომიძე ცოცხლები არიან."**

პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯუღელი უარყოფს ინფორმაციას, თითქოს ოსური მხარისგან მათ აქვთ წინადადება გატაცებულების მარეკ დუდაევზე გაცვლის შესახებ: **"ჩვენ მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ გვქონია, ტელევიზიითაც რამდენჯერმე გაიჟღერა, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის, არც მათმა ოჯახის წევრებმა, არც ქართულმა და ოსურმა ძალოვნებმა. ცოცხლები არიან თუ არა გატაცებულები, ამის შესახებ ჩვენ ამ ეტაპზე ინფორმაცია არ გაგვაჩნია... ძებნა ისევ გრძელდება, ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე ინფორმაციულ ძებნას ვაწარმოებთ, როგორც კი გაგვიჩნდება ინფორმაცია, მაშინვე ვუკავშირდებით ცხინვალის სამართალდამცველებს.**

გაგრძელება A3 გვერდზე

## გამაერთიანებელი ტერაქტი

### მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას იწყებს

თიკო მაჭარაშვილი

*"ლონდონის აფეთქებების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 50-ს გადააჭარბა," - იუწყება "ესოშიეთედ პრესი". მსოფლიო შეძრწუნებულია ტერაქტის უპრეცედენტო მასშტაბებით. თუმცა, ხუთშაბათს ლონდონში დატრიალებულმა ტრაგედიამ ერთი დადებითი შედეგი მაინც გამოიღო - "დიდი რვიანის" მეთაურები, ისევე, როგორც დანარჩენი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა. მთელმა მსოფლიომ დაგმო "უდანაშაულოთა სიკვდილი, ძალადობისა და ტერორიზმის ნებისმიერი ფორმა" და ერთობლივი ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს.*

გაგრძელება A4 გვერდზე



## ცესკო-ში განაცხადების მიღება დასრულდა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე დასრულდა იმ პირთა განაცხადების მიღება, ვინც საარჩევნო ოლქების წევრობაზე აცხადებენ პრეტენზიას. 75 საარჩევნო ოლქში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხუთ-ხუთი წევრი უნდა აირჩიოს. უფრო ზუსტად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საოლქოების თავმჯდომარეებს თავად დანიშნავს, ხოლო დანარჩენ ოთხ-ოთხ კანდიდატს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრით აირჩევს.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, განაცხადი 1381-მა კანდიდატმა შეიტანა. ჩვენი ინფორმაციით, ყველა საარჩევნო ოლქში საკმარისზე მეტი განაცხადია და ადგილზე 2-3 კანდიდატი მოდის. შესაბამისად, არც ერთ საოლქო კომისიაში ახალი კონკურსის გამოცხადება საჭირო აღარ იქნება, თუ, რა თქმა უნდა, კენჭისყრის დროს რაიმე გაუთვალისწინებელი ექსცესი არ მოხდა. თუმცა, თეორიულად, გამორიცხული არც ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა კანდიდატთა საჭირო რაოდენობას ხმა არ მისცენ.

ორშაბათიდან პრესაში უკვე გამოქვეყნდება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა სია. მანამდე კი ცესკო-ში ანკეტების დახარისხება მიმდინარეობს.

*24 საათი*

## სამი ბრალდებულის უკანონო პატიმრობა კვლავ გრძელდება

*არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ ღამე თბილისის N1 საპყრობილეში გაატარა. მისი თქმით, იგი უშედეგოდ ცდილობს სამი უკანონო პატიმრის გათავისუფლებას.*

თეა თუთბერიძის განცხადებით, ქურდობაში ბრალდებული პატიმრების გოგი გიგაურის, გოჩა გაბურის და ტარიელ ვასაძის გათავისუფლებას პროკურარტურა "ვერ ბედავს", რადგან, როგორც ჩანს, მათ ამ პრეცედენტის დაშვებით ბევრი უკანონო პატიმრის გაშვება მოუწევთ. **"თუმცა, როგორც არ უნდა შეიკავონ პროკურატურის წარმომადგენლებმა თავი, მაინც უნდა დაისაჯოს ყველა პასუხისმგებელი პირი - გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე, ვინც სამი ადამიანის უკანონო პატიმრობაში რაიმე სახით წვლილი შეიტანა,"** - აცხადებს თუთბერიძე, რომლის ინფორმაციითაც, ქურდობაში ბრალდებული პატიმრების გოგი გიგაურისა და გოჩა გაბურის საქმეებში არ არსებობს ოქმი მათი დაკავების შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე მათგანი უკანონო პატიმრობაში იმყოფება. რაც შეეხება მესამე პატიმარს, იგი 2004 წლის 30 ნოემბერს დაკავებული ტარიელ ვასაძეა, რომლის დაკავების შესახებ ბრძანება სასამართლოს არ გაუცია.

თეა თუთბერიძის განცხადებით, მომხდარის თაობაზე საქმის კურსშია გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, თუმცა გადაწყვეტილებას უკანონო პატიმართა გათავისუფლების შესახებ ვერ იღებენ.

აღმოჩენილ დარღვევასთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გამართა სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ, რომლის განცხადებითაც, პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომლებმა უხეშად დაარღვიეს საპროცესო ნორმები, რის გამოც, ბაჩო ახალაია მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს. სახალხო დამცველის აპარატმა უკვე მიმართა იუსტიციის საბჭოს, რათა დაიწყოს დისციპლინარული დევნის პროცესი მოსამართლე სუსანა მანუკიანის მიმართ, რომელმაც ტარიელ ვასაძის საქმეში უხეში საპროცესო შეცდომა დაუშვა, მან დაარღვია სსსკ 160-ე მუხლის II ნაწილი. საქმე ისაა, რომ 1998 წლიდან ძებნილი ვასაძე წლების შემდეგ დააკავეს და 2004 წლის ნოემბერში შეასახლეს ბათუმის N3 საპყრობილეში, სადაც 17 დღე ჰყავდათ, საპროცესო და კონსტიტუციური ნორმების დარღვევით. 2004 წლის 17 დეკემბერს კი, გადაიყვანეს თბილისის N1 საპყრობილეში, ასევე უკანონოდ. საპყრობილეს დაკავებული არ უნდა მიეღო, რადგან საქმეში არ არსებობდა მოსამართლის დადასტურება. 2005 წლის 25 დეკემბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და კონსტიტუციის დარღვევით მოსამართლე სუსანა მანუკიანმა ვასაძის დაპატიმრება დაადასტურა ბრძანებით და არა ოქმით.

რაც შეეხება ასევე უკანონო პატიმრობაში მყოფ გოჩა გაბუნიასა და გოგი გიგაურს, ბაჩო ახალაიას ინფორმაციით, საქმეში არ არსებობს მათი დაკავების ოქმი - რითაც ირღვევა სსსკ 146-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნა. რეალური დამკავებელი პირები არიან პოლიციელები, მაგრამ კერძოდ ვინ, საქმეში არ ჩანს. გამომძიებლის მიერ გამოტანილია დადგენილება ეჭვმიტანილად ცნობის და დაკავების შესახებ 22 საათსა და 50 წუთზე. არადა, გიგაური და ბექაური რეალურად დააკავეს დილით, მათ გამომძიებელ ფეიქრიშვილთან მიყვანამდე ახსნა-განმარტებები ჩამოართვა დუშეთის პოლიციის განყოფილების უფროსმა ფირცხალავამ. სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, დამკავებელი პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია დადგეს სსსკ 143 და 333-ე მუხლებით.

გამომძიებლის მიერ დარღვეული იქნა სსსკ მე-12 მუხლის მე-3 და 159-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნები. ასევე სსსკ 146-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნები, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ დამკავებელი პირების მსგავსად ანალოგიური მუხლებით მის წინააღმდეგაც განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა.

ბექაურისა და გიგაურის დაპატიმრების შესახებ ბრძანება გაცემულია დუშეთის რაიონული მოსამართლის ჯერვალიძის მიერ. ბრძანებაში საერთოდ არ არის მითითებული როდის მოხდა დაკავება და საიდან უნდა განხორციელდეს პატიმრობის ათვლა.

საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, მოსამართლე მაია მწარიაშვილის თავმჯდომარეობით, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მათი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე. ისევე, როგორც არ დაკმაყოფილდა ვასაძის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა.

*24 საათი*

## "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამაში" საქართველოს ბიუჯეტი გაიზარდა

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ინფორმაციით, საქართველოს დელეგაციის აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამაში" საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად განიხილება დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, წინასწარი გრანტის სახით, საქართველოსათვის გამოყოფილ (*გადაწყვეტილება მიღებულია, მიმდინარეობს წინასწარი გრანტის ხელშეკრულების გაფორმება, რის შემდეგაც მოხდება თანხების გადმორიცხვა*) **4.1** მლნ აშშ დოლართან ერთად, აღნიშნული თანხა თითქმის 100 მილიონით აჭარბებს პირველად სავარაუდო ბიუჯეტს.

საქართველოს პროგრამამ უპრეცედენტო მხარდაჭერა მოიპოვა და აშშ-ს "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" მიერ 4 სხვა ქვეყნის დამტკიცებულ ბიუჯეტებს მნიშვნელოვნად აღემატება: (კეიპ ვერდე - $ 110 მლნ; ჰონდურასი - $ 215 მლნ; მადაგასკარი - $ 110 მლნ; ნიკარაგუა - $ 175 მლნ).

*24 საათი*

## პირველი "გარდენ ფართი" საქართველოში

გუშინ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში პირველი "გარდენ ფართი" გაიმართა.

ღონისძიებაზე "ხარისხის ნიშნით" დაჯილდოვდნენ კომპანია "რექტიფიკატი" (ალკოჰოლური სასმელი "გომი"), თბილისის საიუველირო ქარხანა და კომპანია "ჯორჯიან პეტროლიუმი".

საინტერესოა, რომ გუშინვე, ბიზნესმენთა ფედერაციის შენობის ეზოში თბილისის საიუველირო ქარხნის ექსკლუზიური მოდელების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

**"გარდენ ფართის" საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის სხვა ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.**

**"გარდენ ფართი" ბიზნესმენთა ფედერაციის ფარგლებში პირველად იმართება და ყოველკვირეულ ხასიათს მიიღებს. როგორც ფედერაციაში აცხადებენ, საღამოები თემატური იქნება და მას მრავალმხრივი დატვირთვა მიეცემა.** "სხვადასხვა პროდუქციის პრეზენტაცია, არაფორმალურ გარემოში კომუნიკაცია და დასვენება - ეს არის მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ძირითადი მიზანი," - აცხადებენ "გარდენ ფართის" ორგანიზატორები.

*24 საათი*

## ტერაქტის ეკონომიკური შედეგები

ლონდონის ტერაქტებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროსა და დოლართან მიმართებაში საბირჟო ინდექსისა და გირვანქა სტერლინგის დაცემა განაპირობა.

საბირჟო ინდექსი 1,36 პროცენტით დაეცა. დაცემის პიკი 7 ივლისს, შუადღისას შეინიშნებოდა, როცა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ერს მიმართა. მაშინ ინდექსი, 6 ივლისის დონესთან შედარებით, 200 პუნქტით დაეცა (4 პროცენტი), შემდეგ საბირჟო ინდექსი ოდნავ გაიზარდა.

ყველაზე სერიოზულად დაზარალდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ვალუტა - ბრიტანული გირვანქა სტერლინგი, რომლის კურსი, დოლართან და ევროსთან მიმართებაში, წლინახევრის მანძილზე რეკორდულ მაჩვენებლამდე დაეცა: ევროპის ბირჟაზე ერთი გირვანქის კურსი 1,74 დოლარზე ოდნავ მეტს შეადგენს. ამასთან, ტერაქტის დღეს ინგლისის ბანკმა გადაწყვიტა, არ შეცვალოს რეფინანსირების განაკვეთი. ბანკის მმართველობის სხდომა, რომელიც ამ საკითხს მიეძღვნა, ლონდონის ტერაქტებს დაემთხვა. ინგლისის ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის დონე 4,75 პროცენტი დარჩა.

*24 საათი*

## საკრებულოს "მარადმწვანე ინტერესები"

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის საკრებულომ გუშინ საკრებულოს გამწვანების საქალაქო სამსახური დააარსა და ქალაქის ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისის გამწვანებაზე, ქალაქის შესაბამისი სამსახურის ნაცვლად, საკანონმდებლო ორგანოზე დაქვემდებარებული სამსახური იზრუნებს და ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში გამწვანებაზე გათვალისწინებული თანხების ნაწილი ახლად შექმნილ სამსახურში გადაინაცვლებს.*



დედაქალაქის საკრებულოს, ნებისმიერი საბიუჯეტო საკითხის განხილვისას, ოპოზიციის დიდი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს.

თბილისის მაშინდელი პრემიერის 2001 წლის 15 იანვრის დადგენილებით, მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს დამკვეთის ფუნქცია მიენიჭა და გამწვანების სამსახური შეუერთდა. გუშინ საკრებულომ პრემიერის ეს დადგენილება გააუქმა, გამწვანების ცალკე, საკრებულოზე დაქვემდებარებული სამსახური შექმნა და დამკვეთის ფუნქციაც მიანიჭა. ამასთან ერთად, 2005 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც, გარემოს დაცვის კომიტეტსა და ურბანული დაგეგმარების სამსახურში გამწვანებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები (რაც შემორჩა) საკრებულოს გამწვანების სამსახურში გადავა.

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონის მე-12 და 45-ე მუხლების თანახმად, საკრებულოს უფლება აქვს, ადგილობრივი, სახაზინო და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები დააფუძნოს. თუმცა, ერთია, რომ საკრებულოს ამისი უფლება აქვს და მეორე - რამდენად საჭიროა გამწვანების სამსახურის ცალკე გამოყოფა და, მერიის ნაცვლად, საკრებულოზე დაქვემდებარება.

სწორედ ამ მიზეზის გამო, რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ, საკრებულოს საქალაქო მეურნეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის სხდომაზე აღნიშნული სამსახურის შექმნის საკითხი ჩავარდა. მისი შექმნის იდეას კომისიის მხოლოდ ერთმა წევრმა დაუჭირა მხარი. დანარჩენებმა კი ერთხმად აღიარეს, რომ გამწვანების სამსახური აღმასრულებელ ორგანოზე უნდა იყოს დაქვემდებარებული და არა საკანონმდებლოზე. **"ჩნდება ეჭვი, რომ ამაში საკრებულოს ზოგიერთი წევრის პირადი დაინტერესება დევს,"** - განაცხადა ფრაქცია "მემარჯვენეების" წევრმა თემურ ბილიხოძემ. თუმცა, ამის მიუხედავად, საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ და, ამავე დროს, ვაკე-საბურთალოს საბინაო-მეურნეობის სამსახურის უფროსმა ომარ აბულაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის ხელშეწყობით, აღნიშნული საკითხი მაინც გაიტანა და უმრავლესობას დაამტკიცებინა კიდეც.

საკრებულომ აღნიშნული სამსახური ისე შექმნა და დააფინანსა, ქალაქის მთავრობასთან ზოგიერთი დეტალი შეთანხმებული არ ყოფილა. როგორც აღმოჩნდა, ქალაქის პრემიერი საქმის კურსში არ იყო, რომ საკრებულოს გამწვანების სამსახური წლევანდელი ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. **"ამ სამსახურისთვის თანხა მომავალი წლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა,"** - განგვიცხადა თემურ ქურხულმა. ქალაქის ვიცე-პრემიერს უჩა გელაშვილს კი აღნიშნული სამსახურის შექმნის შესახებ ინფორმაცია, საერთოდ, ყურმოკვრით ჰქონდა გაგებული.

რაც შეეხება ახლადშექმნილი სამსახურის მომავალ ხელმძღვანელს, როგორც ომარ აბულაძემ განგვიცხადა, ამ თანამდებობაზე მერიის გარემოს დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე ზაურ თაბაგარი მოიაზრება.

## "გოსდუმის" მოთხოვნა რუსეთის მთავრობაში "არ განიხილება"

*თბილისში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის მინისტრი, ასევე რუსულ-ქართული მთავრობათაშორისი კომისიის თანათავმჯდომარე იგორ ლევიტინი იმყოფება. იგი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე რამდენიმე საკითხს, მათ შორის, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის რეაბილიტაციის პრობლემას განიხილავს. გუშინ ლევიტინი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა, რის შემდეგაც მხარეებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.*

ნინო გომართელი

**"საქართველოში საექსპორტო რუსულ ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდის საკითხი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებაში არ განიხილება,"** - ასეთი კომენტარი გაუკეთა იგორ ლევიტინმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიმართვას პრემიერ-მინისტრ მიხეილ ფარდკოვისადმი, სადაც დეპუტატები რუსეთიდან საქართველოში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდოვაში, უკრაინასა და ესტონეთში ექსპორტირებული ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდას ითხოვენ. დადგენილებასთან დაკავშირებით, ლევიტინმა დასძინა, რომ **"რუსეთის სახელმწიფო სათათბირო თავისი განრიგით მუშაობს, მთავრობას კი საკუთარი ამოცანები აქვს."**

სამაგიეროდ, შეხვედრაზე განხილული იყო რუსეთ-საქართველოს შორის სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობა. ასევე, იმსჯელეს სავაჭრო ურთიერთობების გამარტივებაზე, აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე.

ლევიტინის თქმით, თუ საქართველოს ხელისუფლება შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს, რკინიგზის აღდგენა წელიწადნახევარში მოხერხდება. თუმცა, როგორც მხარეები აღნიშნავენ, ამისათვის საკმაოდ დიდი თანხების მოზიდვა იქნება საჭირო. საუბარია დაახლოებით 100 მილიონ აშშ დოლარზე.

საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებაში დარწმუნებულნი არიან, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირებასაც შეუწყობს ხელს.

ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ ნოღაიდელმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს საშუალება ექნება, ფოთი-კავკაზის საბორნე გადასასვლელის მეშვეობით, რუსეთში აქციზური ტვირთების გადატანა შეძლოს. ასევე, საქართველოს პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტების უფრო ეფექტური მუშაობა და ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა ნამდვილად საჭიროა.

რუსეთ-საქართველოს მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა ოქტომბერში თბილისში გაიმართება, ზურაბ ნოღაიდელს კი იმედი აქვს, რომ ამ დროისათვის მიღწეული იქნება მთელი რიგი კონკრეტული გადაწყვეტილებები და შეთანხმებები ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

გუშინ გამართული შეხვედრით კმაყოფილი იყო რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინიც. მისი თქმით, ქართულმა მხარემ რუსეთს საკმაოდ ბევრი აქტუალური და საინტერესო წინადადებით მიმართა, რომელთა რეალიზებაც ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

## ტრაგიკული ინციდენტი "წითელი ხიდის" საბაჟო ტერმინალზე

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის "წითელი ხიდის" საბაჟო ტერმინალზე წუხელ, გვიან ღამით, ეროვნებით აზერბაიჯანელი მამაკაცი ტვირთის განბაჟებისას გარდაიცვალა. ოფიციალური ინფორმაციით, აიგიზ აზი ოღლი მურიევის გარდაცვალების მიზეზი გულის უკმარისობა გახდა.

შედეგად, მურიევის ახლობლებმა საბაჟო ტერმინალი დაარბიეს. ისინი აცხადებენ, რომ აიგიზ აზი ოღლი მურიევი ტვირთის განბაჟების მოლოდინში თითქმის სამი დღის განმავლობაში იდგა, მას ტერმინალის მომსახურე პერსონალმა რამდენჯერმე მიაყენა შეურაცხყოფა და სწორედ ეს გახდა გულის შეტევის მიზეზი.

ადგილზე სიტუაციის სტაბილიზებისთვის მებაჟეებს სპეცრაზმის გამოძახებაც კი დასჭირდათ.

ოფიციალური ინფორმაციით, მომხდარის დეტალებს ამჟამად ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია იკვლევს. საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ზურაბ ანთელიძის განცხადებით, გამორიცხული არ არის, რომ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების დამტკიცების შემთხვევაში, მებაჟის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, თუმცა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინციდენტში მებაჟის ბრალეულობას ეჭვის ქვეშ აყენებს, რადგან მიიჩნევს, რომ მებაჟისთვის უპირველესი ამოცანა საბაჟო პროცედურების დაცვაა, რასაც მოქალაქეები მუდმივად ეწინააღმდეგებიან. ანთელიძის განმარტებით, თუ მოქალაქე მებაჟის მიერ წარდგენილ საგადასახადო ვალდებულებას არ ეთანხმება, მან პრეტენზიით სასამართლოს უნდა მიმართოს და არა ადგილზე გაარჩიოს საქმე.

მარნეულის რაიონის პროკურორის სოსო ლალიაშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში საქმე აღიძრება საბაჟო ტერმინალის დარბევის ფაქტზეც. მისივე ინფორმაციით, გარდაცვლილს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ გარდაცვალების მიზეზი გულის უკმარისობა გახდა. მურიევს სხეულზე სხვა რაიმე დაზიანება არ აღენიშნება.

**"ჩვენ მარნეულის საავადმყოფოდან ამოვიღეთ აიგიზ აზი ოღლი მურიევის ავადმყოფობის ისტორია. გაირკვა, რომ მოქალაქემ ინფარქტის გამო ცოტა ხნის წინ ჩაიტარა მკურნალობის კურსი. მიმდინარეობს მოკვლევა, მაგრამ იმ ინფორმაციით, რაც ამ წუთას მაქვს, საბაჟო ტერმინალზე ამ ადამიანის შეურაცხყოფა არ იკვეთება"**, - აცხადებს სოსო ლალიაშვილი.

*24 საათი*

## ედპ-ს წევრი გოგა გოგნიაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

30 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების დროს დაკავებული ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ოთხი წევრიდან ერთი, გოგა გოგნიაშვილი უკვე გაათავისუფლეს.

გოგნიაშვილის განცხადებით, ის 30 ივნისს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა პოლიციელებმა ჩასვეს საპატრულო მანქანაში.

**"იმ დღეს ჩვენ საერთოდ არ ვერეოდით მოჭიდავეების აქციაში, მაგრამ პარტიის ოფისში დარეკეს და გვითხრეს, რომ ჩვენი პარტიის წევრი გოგი როგავა დაკავებულია და სასტიკადაა ნაცემი. როდესაც ოფისიდან გამოვედი, "ნიკალასთან" დავით გამყრელიძე და კობა დავითაშვილი შევნიშნე და გადავწყვიტე, როგავას დაკავებასთან დაკავშირებით ისინი, როგორც დეპუტატები, ჩამეყენებინა საქმის კურსში. სწორედ ამ დროს, სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილმა პირებმა ხელი მომკიდეს და პოლიციის მანქანისკენ წამიყვანეს, ჩამსვეს მანქანაში და სამმართველოში გადამიყვანეს. თავდაპირველად, რაღაც სულელურ ბრალდებებს მიგონებდნენ, რომ თითქოს მე ვიყავი აქციის ორგანიზატორი და დესტაბილიზაციის გამოწვევა მსურდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ხუთ დღეზე მეტი ვერ მომისაჯეს,"** - ამბობს გოგა გოგნიაშვილი.

ყოფილი პატიმრის თქმით, ხუთი დღის განმავლობაში მისთვის არც პოლიციელებს და არც ზედამხედველებს შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, **"უბრალოდ, საკნებში ისეთი ანტისანიტარიაა, რომ იქ ადამიანს კი არა, ცხოველს გაუჭირდება გაჩერება,"** - ამბობს გოგნიაშვილი.

ცნობისთვის, გუშინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ, ბაჩუკი ქარდავამ, მთავარი კომიტეტის სხდომაზე შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და ისინი რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სწორედ გოგა გოგნიაშვილი დაასახელა.

რაც შეეხება ედპ-ს პატიმრობაში მყოფ დანარჩენ წევრებს, გოგი როგავას, მერაბ თანდილაშვილსა და ლევან ჭითანავას დღეს გაათავისუფლებენ.

*მედიანიუსი*

### მოკლედ

### მიხეილ სააკაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის მუშაობით კმაყოფილია

როგორც გუშინ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ საზეიმო მიღებაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, გარკვეული ძალების სურვილისა და მოლოდინის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა არ დაიშალა და ის კიდევ დიდხანს იქნება ერთიანი და ქვეყნისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. პრეზიდენტის თქმით, პარლამენტმა მიიღო ბევრი მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც დაარეგულირებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სამართლებრივ განვითარებას. ამავდროულად, პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია, რომ შედგეს თანამშრომლობა საპარლამენტო ოპოზიციასთანაც. "საპარლამენტო უმრავლესობა და ხელისუფლება ვალდებულია, ხელი გაუწოდოს ოპოზიციას, ოღონდ იმ ოპოზიციას, რომელსაც ადამიანური სახე ჯერ კიდევ აქვს შენარჩუნებული," - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ეს აუცილებელია იმისათვის, რათა ქვეყნის ერთიანობა აღდგეს. მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ერთობლივი ძალებით ახლო მომავალში მოხერხდება ცხინვალის რეგიონის საქართველოსთვის შემომტკიცებაც. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს დიდი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს და ეს, პირველ რიგში, უმრავლესობის დამსახურებაა.

*ინტერპრესნიუსი*

### თბილისის საქალაქო სასამართლოს გიორგი შავლიაშვილი უხელმძღვანელებს

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გიორგი შავლიაშვილი დაინიშნა. ადრე თავმჯდომარის მოვალეობას დავით დოიჯაშვილი ასრულებდა. დოიჯაშვილმა რამდენიმე დღის წინ თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. გიორგი შავლიაშვილი 32 წლისაა, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უზენაესს სასამართლოში სხდომის მდივნობიდან მოსამართლეობამდე ყველა საფეხური გაიარა. სასამართლო სისტემაში მიმდინარე საკადრო ცვლილებების ფონზე უახლოესს მომავალში სხვა სიახლეებიც იგეგმება.

*24 საათი*

### ცხინვალელი მილიციელები საშიშ დამნაშავეს ეძებენ

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველომ ჩრდილო ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საშიში დამნაშავის ვასილი ჯიოევის დაკავებისთვის დახმარების თხოვნით მიმართა. ჩრდილო ოსეთის შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ალან დოევის თქმით, 3 ივლისს ვასილ ჯიოევმა წინააღმდეგობა გაუწია "სამხრეთ ოსეთის" სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. მან ორმხრივი სროლის დროს მოკლა ქალი და მილიციელი, მილიციის კიდევ ერთი თანამშრომელი კი დაჭრა. სეპარატისტთა სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, დამნაშავემ ჩრდილო ოსეთის საზღვარი გადაკვეთა. **"ჯიოევის კრიმინალურ დოსიეში რამდენიმე მკვლელობაა ასახული, მათ შორის - სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობის თანამშრომლის მკვლელობა. მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ ვადამდე გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ჯიოევი გაერთიანდა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში, რომელიც მოსახლეობას აყაჩაღებდა,"** - განაცხადა ალან დოევმა. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული ცხინვალის სამართალდამცველებმა რამდენიმე დღის წინათ ვასილ ჯიოევის შესახებ მასალები ქართველ სამართალდამცველებსაც გადასცეს და საშიში ბოროტმოქმედის დაკავებაში დახმარება სთხოვეს.

*მედიანიუსი*

### სასამართლომ შესაძლოა, 99 თანამდებობის პირს ჯარიმა დააკისროს

1 ივნისიდან თანამდებობის პირების მიერ შევსებული ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციები საჯარო გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დეკლარაციების გაცნობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ქონებისა და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში აცხადებენ, რომ დეკლარაცია არ შეავსო 99-მა თანამდებობის პირმა, რის გამოც ბიურომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინა და აღნიშნულ თანამდებობის პირებს დაუგზავნა. პროცედურა ამ ოქმებზე თანამდებობის პირთა ხელმოწერას ითვალისწინებს, რის შემდეგაც ოქმები სასამართლოში გადაიგზავნება. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, შეწყვიტოს საქმე, თუ თანამდებობის პირს ადმინისტრაციული ჯარიმა - 150 ლარის გადახდა დააკისროს. ჯარიმის დაკისრების შემდეგ, თანამდებობის პირმა ქონებრივი დეკლარაცია ორი კვირის ვადაში უნდა შეავსოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო მასალებს პროკურატურაში გადაგზავნის. ეს იქნება საფუძველი იმისა, რომ პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლით თანამდებობის პირზე საქმე აღძრას. ქონებრივი დეკლარაციის შევსებისგან ჯიუტად თავის არიდება დასჯადია და ითვალისწინებს ჯარიმას ანდა აღნიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

ცნობისთვის: ქონებრივი დეკლარაციის შევსებას თავი, სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, რამდენიმე პარლამენტარმაც აარიდა.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კანონთცვენა პარლამენტში

პირველი გვერდიდან


ოპოზიციის გარეშე პარლამენტის სპიკერატს სხდომა უპრობლემოდ მიჰყავდა.

რიგგარეშე სესიის ბოლო სხდომაზე პარლამენტმა კიდევ ერთ სადავიდარაბო კანონპროექტი "მოინელა". ოღონდ, მის ირგვლივ დავა წარმოებდა არა სახელისუფლებო ფრაქციასა და ოპოზიციას შორის, არამედ თავად საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით. როგორც ცნობილია, "სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ" კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შემდეგ, მისი ცალკეული მუხლების მიმართ (ისინი სასაზღვრო ზონაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებას შეეხებოდა) უკმაყოფილება გამოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. მესამე მოსმენით კანონპროექტის კენჭისყრა სპიკერის მივლინებას დაემთხვა, თუმცა, როგორც მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, ნინო ბურჯანაძის შენიშვნები მთლიანად არის გათვალისწინებული. ასეა თუ ისე, "სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ" კანონპროექტი 115 ხმით, სამის წინააღმდეგ, უკვე მესამე მოსმენითაც მიღებულია.

გუშინდელი სხდომის წამყვანი მიხეილ მაჭავარიანი ერთობ გაოცდა, როდესაც ახალი ცესკო-ს ხარჯთაღრიცხვის პროექტში ჩაიხედა და აღმოაჩინა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მობილური ტელეფონების ყიდვასაც კი აპირებენ. გარდა ამისა, მათ სამსახურებრივი სარგებლობისთვის საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა განუზრახავთ.

**"კიდევ კარგი, პარფიუმერიის ყიდვაც სახელმწიფოს ხარჯზე არ მოინდომეს,"** - ცესკო-ს წევრების მადით აღშფოთება ვერ დამალა მაჭავარიანმა. 2,5 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯთაღრიცხვა პარლამენტმა ცესკო-ს მაინც დაუმტკიცა (წინა ცესკო-ს ბიუჯეტი მხოლოდ ნახევარი მილიონი ლარი იყო), მაგრამ ამასთან, ვიცე-სპიკერმა პირობა დადო, რომ პირადად გააკონტროლებს, თუ როგორ გაიწერება ეს თანხა.

სხვა სიკეთესთან ერთად, გუშინ დეპუტატებმა ფინანსთა ყოფილი მინისტრიც "დაასაქმეს": პარლამენტმა, 129 ხმით, ვალერი ჩეჩელაშვილი შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაამტკიცა.

**"ელჩობის წინა კანდიდატი გოგა გომიაშვილი დაგვემუქრა, შვეიცარიის ბანკებში გახსნილ თქვენს ანგარიშებს გამოვამზეურებო. თქვენც კარგად ნახეთ ერთი, რა გვაქვს შვეიცარიაში,"** - ახალ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, ვალერი ჩეჩელაშვილმა მიხეილ მაჭავარიანისგან "პირველი დავალება" მიიღო.

# საპროტესტო აქცია კონფლიქტის ზონაში

პირველი გვერდიდან

**სამწუხაროდ, სამშვიდობოები სათანადოდ ვერ ჩაერივნენ ძებნაში, ამიტომაც გაგრძელდა ამდენხანს ეს საქმე... ჩვენს ტერიტორიაზე რომ რამე დაჭირდებათ, საქმის დასრულებისთვის რვა საათი მყოფნის. ბიჭების გატაცებიდან ერთი თვე გავიდა და ჯერ ხელმოსაკიდი არაფერი გვაქვს."**

ვლადიმერ ჯუღელის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ სამხარეო პოლიციის უფროსების კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ექვსი თვის შედეგებით, რეგიონის სირთულის მიუხედავად, შიდა ქართლში, სხვა რეგიონებთან შედარებით, "უკეთესი კრიმინოგენული მდგომარეობაა".

გუშინვე, შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებით შვიდი "ვილისი", სამი "ოპელი" და ერთი "ჯიპი" მიიღო.

შიდა ქართლის მთავარი სამმართველო დღეიდან ახალ ფუნქციასაც შეითავსებს - მის გამომძიებლებს საშუალება ექნებათ, დააკავონ კონტრაბანდა და მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გადაიტანონ კონტრაბანდული ტვირთი ტერმინალში.


ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
\მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბასადორი" 11-იდან 12 საათამდე



როჯ საუნდერსი
მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში

წამყვანები: გაგა გობრონიძე,ნინო ჯახუა

როჯ საუნდერსი: მთავრობის ერთ-ერთ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ ისინი ნაკლებად ცდილობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დიალოგი გამართონ სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან/რის შედეგადაც არ ხდება ამ ადამიანების ინტერესებისა და მათი საჭიროებების გათვალისწინება. მით უმეტეს რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები სწორედ სამოქალაქო სექტორიდან მოსული ადამიანები არიან. განათლების სისტემაში რეფორმები ყველაზე წარმატებულია და ვფიქრობ რომ მსოფლიო ბანკის რესურსებს ამ მიმართულებით ძალიან ეფექტურად იყენებენ.


# განცხადება
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს **საძილე ტომრებისა და ზურგჩანთების სახელმწიფო შესყიდვაზე**:

| N | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | საძილე ტომარა: წონა - 1-1,5 კგ., ქარგაუმტარი, შიგნ. 15-20 °C გათვლილი, მწვანე ან ხაკის ფერი, ჩასადები ტომრით | 380 (სამას ოთხმოცი) ცალი | ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6 |
| 2 | ზურგჩანთა: 65-100 ლიტრი ტევადობის, წყალგაუმტარი, მრავალჯიბიანი, მწვანე ან ხაკის ფერი, მაგარი ზურგით, ქამრით, ხანგრძლივი ტარებისთვის ვარგისი და მორგებული | 380 (სამას ოთხმოცი) ცალი | |

დაფინანსების წყაროა - საბიუჯეტო სახსრები.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

3. ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე მ.წ. 25 ივლისიდან 26 ივლისის 17.00 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით მ.წ. 26 ივლისს.

8. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი.

9. სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება მ.წ. 28 ივლისიდან 29 ივლისის 17.00 საათამდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისიაში.

10. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.N6. ტ: 92-33-21, საკონტაქტო პირი: დავით მეგრელიძე.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით სატენდერო კომისია*

# აფხაზეთი საქართველოსგან კომპენსაციას ითხოვს

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ საქართველომ აფხაზეთს ომით მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაუროს.

ამის შესახებ განაცხადა აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ. მას, ისევე როგორც დეპუტატთა უმრავლესობას, მიაჩნია, რომ ამ საკითხის წამოჭრა სწორედ მოლაპარაკებათა პროცესში არის სასურველი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, აფხაზმა ეკონომისტებმა ომით მიყენებული ზარალი 13 მილიარდ დოლარად შეაფასეს. დეპუტატთა მოსაზრებით, საქართველომ ამის კომპენსირება უნდა მოახდინოს, რადგან აფხაზეთში ომი სწორედ საქართველოს მთავრობამ წამოიწყო.

დეპუტატები ყველა ღონეს იხმარენ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტმა აღნიშნული თემა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე დააყენოს.

როგორც გაირკვა, პარლამენტარები ყოველგვარი ზედმეტი ოპტიმიზმის გარეშე უყურებენ ქართული მხარის მიერ ასეთი დიდი ოდენობის თანხის გადახდის პერსპექტივას. ამიტომაც, მათი მოსაზრებით, მოლაპარაკებებზე აფხაზეთისთვის საინტერესო საკითხების წამოწევაა საჭირო.

**"ქართული მხარე აფხაზეთთან დაკავშირებით მუდმივად ახალ-ახალ პრობლემებს ახსენებს და მოლაპარაკებათა პროცესზე მათ წამოწევას ითხოვს. აქამდე ჩვენ პასიურები ვიყავით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვენ ქართული მხარისთვის არაფერი გვქონდა სათქმელი. სინამდვილეში, უამრავი საკითხი გვაწუხებს. საქართველოს მთავრობის მიერ წამოწყებული ომის შედეგად აფხაზეთის ტოტალური განადგურება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა, რაც ჩვენ გვაინტერესებს,"** - აცხადებენ აფხაზეთის პარლამენტში.

ამ საკითხზე გაცილებით დეტალურად ისაუბრა პარლამენტის სპიკერმა ნუგზარ აშუბამ. **"ომის პერიოდში აფხაზეთისთვის მიყენებული ეკონომიკური ზარალის კომპენსირების საკითხის წამოყენება დიდი ხნის წინ იდგა დღის წესრიგში. თუმცა, დღემდე, მშვიდობიანი დიალოგის გაღრმავების იმედით, ჩვენ ამაზე საუბრისგან თავის შეკავებას ვარჩევდით. ახლა, იმის გამო, რომ სამშვიდობო პროცესი აშკარად ჩიხში შევიდა, ვფიქრობ, აუცილებელია ყველა იმ თემის წამოწევა, რაც ჩვენ გვაღელვებს,"** - აღნიშნა აშუბამ.

# თავდაცვის სისტემაში საკადრო ცვლილებები მიმდინარეობს

ვერიკო თევზაძე


გიორგი თავდგირიძეს მინისტრის ბრძანებაში მოტივაციის ნაწილი აინტერესებს.

**"კომენტარი რის შესახებ?"** - კითხულობს თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი გიორგი თავდგირიძე, რომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციამ მასმედიის საშუალებებში გაიჟღერა. **"ჩემთვის არც პირად საუბარში და არც ოფიციალური ფორმით ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს, პირველად ტელევიზიით შევიტყვე, რომ უნდა გამათავისუფლონ. სანამ მინისტრის ბრძანებას არ ვიხილავ, ვერაფერს გეტყვით,"** - განუცხადა "24 საათს" გიორგი თავდგირიძემ.

თავდგირიძის განმარტებით, მისთვის მთავარი იქნება გათავისუფლების მოტივი: **"ჩემთვის ნაკლებად მტკივნეული იქნება, თუკი მეტყვიან, რომ როგორც აკადემიის რექტორმა, ჩინოვნიკურ საქმიანობას თავი ვერ გავართვი. თუ აღმოჩნდება, რომ მე, როგორც სამხედრო პირი, მიუღებელი ვარ, ასეთ შემთხვევაში ბევრი კითხვა გამიჩნდება..."**

**"კომენტარის გარეშე, დაველოდოთ მინისტრის ბრძანებას,"** - ასე პასუხობს თავდგირიძე კითხვას, მისი შესაძლო გათავისუფლება პიროვნული ურთიერთობებით ხომ არ არის განპირობებული.

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 4 ივლისს შევიდა გენშტაბის კომისია, რომელსაც მუშაობა გუშინ უნდა დაესრულებინა. თავდგირიძის განმარტებით, კომისიას ჯერჯერობით რაიმე დარღვევა არ აღმოუჩენია.

"24 საათის" ინფორმაციით, თავდგირიძის დასახელება გათავისუფლების კანდიდატთა შორის უკავშირდება მის დაპირისპირებას გენერალური შტაბის უფროსის მოადგილესთან დავით ნაირაშვილთან. თავდგირიძეს და ნაირაშვილს სრულიად საპირისპირო შეხედულებები აქვთ ოფიცრების მომზადების მოდელთან დაკავშირებით. თავდგირიძე მხარს უჭერს "4+1" სისტემას, ხოლო ნაირაშვილი ერთწლიანი სისტემის მომხრეა. დღეს სამხედრო აკადემიაში სწავლება "4+1" სისტემით მიმდინარეობს. გამოდის, რომ თავდგირიძემ ორიდან ერთი უნდა დათმოს: ან პოზიცია, ან თანამდებობა.

რაც შეეხება თავდაცვის სისტემაში საკმაოდ მაღალი თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირებს, მათგან თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მალხაზ მაისურაძე და ლოგისტიკის სამსახურის უფროსი ივანე ბერაძე სამინისტროში თავად ოქრუაშვილმა მიიყვანა. ივანე ბერაძე ირაკლი ოქრუაშვილის "მარჯვენა ხელად" ითვლებოდა.

# მედიცინის ფაკულტეტის რეორგანიზაციას მთავრობის ხელშეწყობა სჭირდება

პირველი გვერდიდან

- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას ოთხი თვე მოვანდომეთ. აღნიშნული გეგმა ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი ფაკულტეტის SWOT-ანალიზის გაკეთებას, ანუ ფაკულტეტზე არსებული პრობლემების, ფაკულტეტის სუსტი, ძლიერი მხარეებისა და ხელისშემშლელი-ხელისშემწყობი პირობების გამოვლენას გულისხმობს. მეორე ეტაპზე კი ამ პრობლემების აღმოფხვრისა და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად საჭირო სტრატეგია შემუშავდა.

**- ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შესწავლისას რა პრობლემებზე გამახვილდა ყურადღება?**

- ფაკულტეტის შეფასება სამედიცინო განათლების მსოფლიო ასოციაციის მიერ 2003 წელს კოპენჰაგენში მიღებული დოკუმენტის, ტრილოგიის მიხედვით გაკეთდა. ეს დოკუმენტი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სამედიცინო განათლების ხარისხობრივ მაჩვენებლად არის მიჩნეული. აღნიშნული ტრილოგიის თანახმად, სამედიცინო განათლება 36 ძირითად სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ ამ სტანდარტებით ფასდება ფაკულტეტის სასწავლო პროგრამები, მართვა... ჩვენს ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ იგი აღნიშნული 36 სტანდარტიდან სრულად ვერც ერთს აკმაყოფილებს. ჩვენი სასწავლო პროგრამა არაადეკვატურია იმ დროისა და გარემოსი, რომელშიც ვცხოვრობთ. ბოლო პერიოდში სამედიცინო სფეროში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებში არ ასახულა. გაურკვეველია, საბაზისო სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ რა კომპეტენციის კურსდამთავრებულები გვეყოლება. დღეს საბაზისო სკოლის კურსდამთავრებული რეზიდენტურის პროგრამისთვის სრულიად მოუმზადებელია. მეორე მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ჩვენში ფაკულტეტის მართვის კულტურა არ არსებობს, რადგან წლების მანძილზე ფაკულტეტის ხელმძღვანელი რექტორატზე იყო დამოკიდებული და დამოუკიდებლად ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. თუმცა, ფაკულტეტს ძლიერი მხარეებიც აქვს - მძლავრი სამედიცინო-პედაგოგიური პოტენციალი ჰყავს.

**- რაც შეეხება მეორე ეტაპს, რას ითვალისწინებს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა?**

- ფაკულტეტზე ცვლილება უნდა განხორციელდეს სამი მიმართულებით - ახალი სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების შემუშავება მსოფლიოში მიღებული ახალი კომპეტენციის შესაბამისად და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ეს ყველაფერი აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ჩვენში სამედიცინო სწავლების ხარისხი ევროპულ მოთხოვნებს გაუთანაბრდეს. ამის გარდა, ფაკულტეტზე უნდა შეიქმნას 4 სკოლა - სამედიცინო, სტომატოლოგიური, საზოგადოებრივი ჯანდაცვა-საექთნო და ჯანდაცვის დამხმარე სკოლები. ამ სკოლების შექმნის აუცილებლობას ჩვენს სამედიცინო ბაზარზე არსებული მოთხოვნები განაპირობებს. საჭიროა ახალი, დამხმარე პროფესიების (მაგალითად, ოკუპაციური და ფიზიკური თერაპიის) შექმნა და ახალი ტიპის ექთნების მომზადება.

2007 წელს სამედიცინო საბაზისო სკოლების ხარისხის აკრედიტაცია უნდა მოხდეს. ამ პერიოდისთვის ჩვენი სამედიცინო ფაკულტეტი ზემოთ აღნიშნულ 36-ვე სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა, ორ წელიწადში რომ ჩავეტიოთ, ამისთვის ორი მთავარი საკითხია მოსაგვარებელი. უნდა გვყავდეს გამოცდილი საერთაშორისო პარტნიორი, რომელიც დაგვეხმარება, რომ ფაკულტეტზე გასატარებელი ცვლილებები უშეცდომოდ და დროულად განხორციელდეს. პარტნიორებისგან შემოთავაზებები უკვე გვაქვს. რაც მეორე არანაკლებ მთავარ პრობლემას, დაფინანსებას შეეხება, აქ მთავრობის, კონკრეტულად, დაინტერესებული სამინისტროების დახმარებაა საჭირო, რადგან უნივერსიტეტი საკუთარი ხარჯებით ვერ მოახერხებს გეგმის დაფინანსებას.

**- თუ თანხების მოძიება ვერ მოახერხეთ, რას აპირებთ?**

- მაშინ ამ თანამდებობაზე ჩემს დარჩენას აზრი ეკარგება. აღნიშნული ცვლილებები თუ არ განხორციელდა, ჩვენს ქვეყანაში საბაზისო სამედიცინო განათლების ევროპულ სივრცესთან შერწყმაზე საუბარიც ზედმეტია.

# მოთხოვნის მიუხედავად, აროიო გადადგომაზე უარს ამბობს

დაახლოებით ერთი თვის წინ ფილიპინებზე დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა პიკს პარასკევს მიაღწია, რასაც პრეზიდენტის გლორია მაკაპაგალ აროიოს თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნა მოჰყვა. კრიზისის მიზეზი ოპოზიციის მიერ ხელისუფლების კორუფციასა და არჩევნების გაყალბებაში დადანაშაულება გახდა.

მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ უკმაყოფილება საპროტესტო აქციებით გამოხატა, აროიომ ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებების განხორციელება გადაწყვიტა და მინისტრებს მოუწოდა, დაკავებული თანამდებობებიდან გადამდგარიყვნენ. მათ, თავის მხრივ, ანალოგიური მოთხოვნა წაუყენეს აროიოს და ურჩიეს, არ დალოდებოდა იმპიჩმენტს.

თუმცა, როგორც ჩანს, პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტთან შედარებით, გაცილებით მყარი პოზიციები აქვს. ამას ემატება ისიც, რომ ფილიპინების შეიარაღებული ძალების სარდლობაც მას უჭერს მხარს, რაც, ანალიტიკოსთა აზრით, "სასწორის პინას" გლორია აროიოს სასარგებლოდ გადახრის.

აროიოს გადადგომის მომხრეებს შეუერთდა წინა პრეზიდენტი კორასონ აკინო, ასევე - გავლენიანი ბიზნესლობიც. პარასკევს მანილას ქუჩებში დემონსტრანტების რიცხვმა ათასს გადააჭარბა. საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ბიზნესცენტრად ითვლება. ეროვნულმა ვალუტამ - პესომ, ამერიკულ დოლართან მიმართებაში, თავის ისტორიულ დაბალ მაჩვენებელს მიაღწია; აქციების ფასი კი იზრდებოდა. ანალიტიკოსთა აზრით, ვითარებას ხელისუფლებაში ნებისმიერი საკადრო ცვლილება დაარეგულირებდა.

**"რაც უფრო დიდხანს ეცდება პრეზიდენტი, შეინარჩუნოს სავარძელი, თანაც - ეჭვებისა და უნდობლობის პირობებში, მით უფრო მეტი ზიანი მიადგება ქვეყნის ეკონომიკას,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა სეზარ პურისიმამ.

გლორია აროიოს 2010 წელს ეწურება პრეზიდენტობის კანონიერი ვადა. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას დაუჭირა მხარი ლიბერალურმა პარტიამაც, რომელიც დაეხმარა აროიოს, მოეპოვებინა უმრავლესობის მანდატი კონგრესის ორივე პალატაში. პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, პოლიტიკურ დაძაბულობას ქვეყანაში მხოლოდ ეს თუ უშველის.


# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, II კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილია:**

1. შპს "ბათას" მიერ, ბორჯომის რ-ნში, სოფ. ტაბაწყურში ნინოღალას მთის მიმდებარე ტერიტორიაზე "ინერტული მასალის კარიერის დამუშავების პროექტი";
2. ინდმეწარმე "შაქირ პირიევის" მიერ, მარნეულის რაიონში, ყიზილაჯლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ყარადაგის ბაზალტების გამოვლინების დამუშავების პროექტი;
3. სს "არწივის ხეობას" მიერ, დედოფლისწყაროს კირქვის საბადოს უბანი "არწივის ხეობა" და უბანი "არწივის ხეობა II"-ის დამუშავების პროექტი.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 22 აგვისტომდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი,Fგულუას ქ. N6**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 23 აგვისტოს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამინისტრო


# გამაერთიანებელი ტერაქტი

პირველი გვერდიდან



ლონდონის აფეთქებებმა "დიდი რვიანის" მეთაურები გააერთიანა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გლენიგლზში (შოტლანდია) მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებისა და მთელს მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. **ეს ბარბაროსული აქტები მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული,** - განაცხადეს "დიდი რვიანის", ასევე - ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, მექსიკისა და სამხრეთ აფრიკის ლიდერებმა. "დიდი რვიანის" სამიტზე გაიხსენეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტებიც.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია "ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, რომლებიც ემუქრებიან საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ბრძოლის ყველანაირი საშუალების გამოყენების აუცილებლობის" შესახებ.

ლონდონის აფეთქებების შემდეგ არა მარტო ევროპის ყველა ქვეყანამ, არამედ რუსეთმა და აშშ-მაც სასწრაფოდ მიიღეს შესაბამისი ზომები უსაფრთხოების გაძლიერებისთვის.

**"ევროკავშირი ინგლისელ ხალხთან ერთად იბრძოლებს ტერორიზმის წინააღმდეგ და დაიცავს თავისუფლებასა და დემოკრატიას,"** - ირწმუნება ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუ. მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების ევროკომისარმა, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა, იტალიელმა ფრანკო ფრატინიმ ყველანაირი დახმარება აღუთქვა ბრიტანეთის პოლიციას და დაუყოვნებლივ გაააქტიურა პოლიციისა და ინფორმაციული სამსახურების თანამშრომლობა.

**"ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება,"** - ხაზგასმით აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ტერორისტებს "ცივსისხლიანი მკვლელები" უწოდა. **"ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკა ახორციელებს, ეს არის ბრძოლა მკვლელობის იდეოლოგიის წინააღმდეგ,"** - განაცხადა ბიბისი-სთან ინტერვიუში კონდოლიზა რაისმა.

**"ტერორიზმი კიბოა, რომლის წინააღმდეგ გაბედულად უნდა ვიბრძოლოთ,"** - აღნიშნა სილვიო ბერლუსკონიმ, ამერიკის ერთგულმა იტალიელმა თანამებრძოლმა ერაყში, რომელიც დარწმუნებულია, რომ ტერორისტთა მხრიდან საფრთხე რომსაც ემუქრება. ვატიკანში, რომის პაპმა ბენედიქტ XVI დაგმო "არაჰუმანური აქტები" და სოლიდარობა გამოუცხადა ინგლისელ ხალხს.

**"ლონდონის ტერორისტულმა აქტებმა გააძლიერა "დიდი რვიანის" თანამშრომლობა და წაშალა ბუნებრივი ეგოიზმი,"** - განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. მისმა რუსმა კოლეგამ ვლადიმირ პუტინმა ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ყველა ქვეყანას მიმართა, შეედგინათ ერთობლივი ხელშეკრულება, რათა მსოფლიოს თითოეული სახელმწიფო ერთობლივად შეებრძოლოს ტერორიზმს.

ესპანეთის მთავრობის მეთაურმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ გუშინწინდელი ლონდონის აფეთქებები 2004 წლის მარტის მადრიდის ტერორისტულ აქტებს (ამ აფეთქებების შედეგად 191 ადამიანი დაიღუპა) დაუკავშირა. **"დღეს ესპანელებს ყველაზე კარგად ესმით ინგლისელთა ტკივილი,"** - განაცხადა მან.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უერთდება ახლო აღმოსავლეთიც. ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი "შეძრწუნებულია ამ საშინელი კრიმინალური აქტებით". პალესტინამ "თანაგრძნობა გამოხატა ბრიტანელი ხალხისა და მთავრობის მიმართ". ეგვიპტემ, რომელიც ჯერ კიდევ ხუთშაბათს ერაყში თავისი ელჩის მკვლელობით არის "შეძრული", დიდ ბრიტანეთს სოლიდარობა გამოუცხადა.

არაბული სამყაროს მრავალმა სახელმწიფომ დაგმო ლონდონის ტერორისტული აქტები და განაცხადა, რომ ასეთი აფეთქებები ეწინააღმდეგება ისლამის რელიგიურ ღირებულებებს. **"არაბული ლიგა გმობს ევროპული და არაბული ქვეყნების დედაქალაქებში და, საერთოდ, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რასაც ადგილი ჰქონდა ლონდონში,"** - განაცხადა არაბული ლიგის გენერალურმა მდივანმა ამრ მუსამ. "მუსლიმი ძმების გაერთიანება" ამ აფეთქებებს "კრიმინალურ აქტებს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ასეთი მოქმედებები ისლამის საწინააღმდეგოა. თუმცა, ეს ორგანიზაცია დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს აკისრებს პასუხისმგებლობას "ჯუნგლების კანონის გამეფებაში".

თეირანში, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ ლონდონის აფეთქებებში დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა და დაგმო "ყველანაირი ძალადობა". **"ჩვენი რელიგია გმობს უდანაშაულოთა მოკვლასა და ძალადობისა და ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას,"** - ხაზგასმით აღნიშნა იორდანიის მეფემ აბდალა მეორემ.

სამხრეთ კორეის მთავრობამ გამოხატა "ღრმა სინანული" ლონდონის აფეთქებებთან დაკავშირებით და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და აეროპორტების მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ინგლისის ძველი კოლონიის - ჰონ კონგის მეთაურმა, ასევე, დაგმო ეს აფეთქებები და ტერორიზმს "ცივილიზებული სამყაროს მტერი" უწოდა.

იაპონიის პრემიერ-მონისტრმა ძუნიტირო კოიძუმიმ, რომელიც მონაწილეობას იღებდა გლენიგლზში მიმდინარე "დიდი რვიანის" სამიტში, განაცხადა, რომ ლონდონის ტერორისტული აქტების შემდეგ იაპონია არ გამოიყვანს ერაყიდან თავის ჯარებს.

საგულისხმოა, რომ ლონდონში ხუთშაბათს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, ევროპულ სახელმწიფოებსა და აშშ-ს არაბული ქვეყნებიც შეუერთდნენ.

# გლენიგლზის სამიტის შედეგები - კმაყოფილება და იმედგაცრუება

შოტლანდიაში, გლენიგლზის სასტუმროში "დიდი რვიანის" 31-ე სამიტი დასრულდა. გუშინ საღამოს სამიტის შედეგებმა დამკვირვებელთა უმრავლესობას ურთიერთსაპირისპირო გრძნობა გაუჩინა - კმაყოფილებისა და იმედგაცრუების.

რასაკვირველია, შესანიშნავია, რომ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების ლიდერები ზრუნავენ აფრიკაში სიღარიბის დაძლევასა და გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებაზე, მაგრამ მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსებს მეტის გაკეთებაც შეეძლოთ.

**"ეს ის არ არის, რაც ჩვენ ყველას გვსურდა, მაგრამ ნამდვილად პროგრესია,** - განაცხადა ტონი ბლერმა გუშინ დილით, სამიტის დახურვისას, - **ეს ვერ შეცვლის მსოფლიოს ხვალ. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია".**

მართალია, სამიტის მუშაობა, ლონდონში დატრიალებული ტრაგედიის გამო, სერიოზულად შეფერხდა, მაგრამ დღის წესრიგის საკითხებზე გარკვეულ შედეგებს მაინც მიაღწიეს.

სამიტის დასკვნით კომუნიკეში აღნიშნულია, რომ აფრიკის ქვეყნებისთვის გამოყოფილი დახმარების რაოდენობა გაორმაგდება და 50 მილიარდ დოლარს შეადგენს. მართალია, თავდაპირველი მიზანი აფრიკისთვის ყველა ვალის "ჩამოჭრა" იყო, მაგრამ "დიდი რვიანის" წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მხოლოდ 18 ულარიბეს ქვეყანას აპატიებენ ყველა საგარეო ვალს.

გარდა ამისა, შიდსით დაავადებულ აფრიკელებს საშუალება ექნებათ, შეუფერხებლად ისარგებლონ შესაბამისი მედიკამენტებით.

ტონი ბლერმა ხაზი გაუსვა, რომ დასკვნით კომუნიკეში შესულია აფრიკისთვის ახალი სამშვიდობო კონტინგენტის შექმნის დებულებაც.

ასევე, მიღწეულია შეთანხმება, უახლოესი წლების განმავლობაში პალესტინისთვის ფინანსური დახმარების პაკეტის გამოყოფის შესახებ, რომლის საერთო მოცულობა სამ მილიარდ დოლარს მიაღწევს.

როგორც ტონი ბლერმა აღნიშნა, სამიტზე მიაღწიეს შეთანხმებას მავნე გამონაბოლქვების შესამცირებლად, რამაც ე.წ. "სათბურის ეფექტი" უნდა შეანელოს. თუმცა, რაიმე კონკრეტული ღონისძიებების ერთობლივად განხორციელებაზე, სავარაუდოდ, აშშ-ს წინააღმდეგობის გამო, საუბარი არ ყოფილა.

"დიდი რვიანის" ლიდერების საერთო შეფასებით, ეს გადაწყვეტილებები მკვეთრ კონტრასტს ქმნიან ტერორის პოლიტიკასთან. **"არა მარტო ჩვენ, ვინც აქ დიდი რვიანის სამიტზე შევიკრიბეთ, არამედ მილიონობით სხვა ადამიანიც, დარწმუნებულია, რომ პროგრესის მიღწევა შესაძლებელია დემოკრატიის გზით, ცივილიზებულ ადამიანებს შორის ღირსეული თანამშრომლობის საშუალებით. სწორედ ამიტომ, მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი პოლიტიკა გაიმარჯვებს და დაამარცხებს ტერორიზმს,"** - ამბობს ტონი ბლერი.

## ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*


ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

**ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.**


# "ენერგოსექტორის რეგულირების ხარისხს საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავს"

*"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" გაზეთ "24 საათის" 6 ივნისის ნომერში შემოგთავაზათ პუბლიკაცია "ხელისუფლების ცოდვები ელექტროენერგეტიკულ სექტორში", რომელიც მომზადებული იყო ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარის, საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ "ენერგეტიკის რეგულირების მაცნეს" მთავარი რედაქტორის ვახტანგ ზარქუას მიერ მოწოდებული მასალის მიხედვით. პუბლიკაციაში წამოჭრილი იყო რამდენიმე საყურადღებო სამართლებრივი საკითხი, რომელთა მოგვარებაც საქართველოს ენერგეტიკისთვის მნიშვნელოვანია.*
*დღეს ამ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ სემეკის თავმჯდომარის გიორგი თავაძის განმარტებებსა და პოზიციას. ვახტანგ ზარქუას მიერ ჩაწერილი ინტერვიუ იბეჭდება შემოკლებით.*

**- ენერგეტიკული სექტორის განვითარების ხელშემშლელ რა ძირითად სამართლებრივ ბარიერებს გამოჰყოფდით?**

- საერთაშორისო აღიარებით, საქართველოს ენერგეტიკაში მოქმედი კანონი ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის. ის თითქმის 8 წელია მოქმედებს და მნიშვნელოვან სამართლებრივ ბაზას ქმნის დარგში მეწარმეობის განვითარებისათვის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის. ამასთან, ცხადია, დროთა განმავლობაში საჭიროა მისი პერიოდული სრულყოფა. მაგალითად, მოქმედი კანონით, სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის სემეკი უფლებამოსილია, ლიცენზიატს ჩამოართვას ლიცენზია. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიატმა ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოს. მაგრამ ვინ მოემსახურება მომხმარებელს? ამ კითხვაზე კანონი ნათელ პასუხს არ იძლევა. სრულყოფას საჭიროებს სატარიფო მეთოდოლოგია, "საბაზრო წესები" და სხვ.

**- რამდენად მართებულია კანონის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლითაც სახელმწიფო მეწარმეს უდგენს ვაჭრობის მოცულობებს და ითანხმებს სავაჭრო ხელშეკრულებებს. არის თუ არა ეს მეწარმეობის პირდაპირი შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან? ზემოაღნიშნული კანონის იმავე მუხლის მესამე ნაწილით დაშვებულია მხოლოდ ერთი ელექტრობაზრის ფუნქციონირება. არის თუ არა ეს ნორმა მონოპოლიური ხასიათის და, აქედან გამომდინარე, მეწარმეობის შემზღუდველი?**

- ის ფაქტი, რომ კანონის თანახმად, საქართველოში დაშვებულია მხოლოდ ერთი ელექტრობაზრის ფუნქციონირება, სავსებით გამართლებულად მიმაჩნია. ეს ნორმა, ჩემი აზრით, არ არის მონოპოლიური ხასიათის და არც მეწარმეობის შემზღუდველია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომ ისეთ პატარა და დეფიციტურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყოფილიყო ორი ან მეტი ელექტრობაზარი, ამდენივე დისპეტჩერი და ა. შ. რამდენიმე წლის წინ, დაახლოებით ასეთივე მცდელობა იყო აშშ-ს კალიფორნიის შტატში. ალბათ, გეხსომებათ, შედეგი ისეთი სავალალო იყო, რომ მან შეძრა არამარტო ეს შტატი, არამედ ეკონომიკურად და ენერგეტიკულად ძლიერი მთელი ქვეყანა.

**- რამდენად საჭიროა ელექტრობაზრის სპეციალური ტრანსფერტული ანგარიშის არსებობა, სადაც ელექტრობაზრის მყიდველების მიერ გამყიდველებზე გადასანაწილებლად გადმორიცხული თანხები იყრის თავს? რამდენად გამჭვირვალეა აღნიშნულ პირობებში ელექტრობაზარზე ყიდვა-გაყიდვის პროცესი? შესაძლებელია, რომ ენერგოკომპანიებმა პირდაპირი ხელშეკრულებებით თავად აწარმოონ ფინანსური ურთიერთობები?**

- რაც შეეხება ელექტრობაზრის სპეციალურ ტრანსფერტულ ანგარიშს, ეს თავად ლიცენზიატებისათვის გაკეთდა; იგი სესბ-ის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იქნა შემოღებული და მოწონებულია, სწორად განაწილდეს მათი ფინანსური რესურსები და დაცული იქნეს უსამართლო დაყადაღებისაგან. თუ ლიცენზიატებს, რომლებმაც შექმნეს ასოციაცია, ასეთი ანგარიში არ უნდათ, ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტონ.

**- თბილისის საოლქო სასამართლომ სემეკს დაავალა იმ გადაწყვეტილების გადახედვა, რომლითაც 21 მცირე ლიცენზიატს ჩამოერთვა განაწილების ლიცენზია. რატომ ავლენს სემეკ-ი ადგილობრივი მცირე მეწარმეების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას? როდის აპირებს სემეკი აღნიშნული გადაწყვეტილების გადახედვას? უნდა შეიცვალოს თუ არა სემეკის მიდგომა მცირე ლიცენზიატების მიმართ? თუ უნდა შეიცვალოს, როგორ?**

- სემეკი ის ორგანოა, რომელიც თანაბრად იცავს როგორც ლიცენზიატთა, ისე მომხმარებელთა უფლებებს. ამიტომ, შეკითხვა - "რატომ ავლენს სემეკი ადგილობრივი მცირე მეწარმეების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას?", არაკორექტულია. ე. წ. "მცირე ლიცენზიატთა" ძირითად ნაწილს სემეკმა ლიცენზია სამართლიანად ჩამოართვა; მათ მიერ სრულად იყო იგნორირებული სალიცენზიო პირობები, პირველ რიგში, ტექნიკური უსაფრთხოების წესები. სწორი იყო თუ არა სემეკის გადაწყვეტილება (ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება), ამის გადაწყვეტა ახლა სასამართლოს პრეროგატივაა.

**- შესაძლებელია თუ არა ელექტროხაზებზე თავისუფალი დაშვების დაწესება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში?**

- ელექტროხაზებზე დაშვებაში ჩვენთან დისკრიმინაცია არ არსებობს და ის კანონითაცაა გარანტირებული. წარმოების ყველა ლიცენზიატი უშუალო კავშირშია გამანაწილებელ ან გადამცემ ქსელთან.

**- "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მმართველი ჯგუფი ვერ ასრულებს სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, კომპანია ვერც სალიცენზიო პირობებს იცავს. რატომ არ ახორციელებს სემეკი ასეთი კომპანიის მიმართ სანქციებს?**

- "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" მუშაობის საკითხი, რამდენჯერმე იქნა განხილული როგორც სემეკის სხდომაზე, ისე შესაბამის დეპარტამენტებში. გამოითქვა სერიოზული შენიშვნებიც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კომპანიის მუშაობაში სახეზეა მნიშვნელოვანი პროგრესიც.

**- სემეკმა ელექტროენერგიაზე მოსახლეობისათვის დაადგინა საფეხურებრივი ტარიფები სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, რითაც, ფაქტობრივად, სახელმწიფომ მოსახლეობაზე ზრუნვის გარკვეული საკუთარი ფუნქცია ენერგოკომპანიებს დააკისრა. რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა?**

- სემეკის მიერ საფეხურებრივი ტარიფების დადგენა მნიშვნელოვან და, ამასთან, საჭირო გადაწყვეტილებად მიმაჩნია. არასწორია იმის თქმა, რომ სახელმწიფომ მოსახლეობაზე ზრუნვის გარკვეული საკუთარი ფუნქცია ენერგოკომპანიებს დააკისრა. პირიქით, ასეთი ტარიფის დაწესებით ენერგოკომპანიებს არც ერთი კუთვნილი თეთრი არ აკლდება. ტარიფი თუ შეღავათიანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, ზუსტად იმავე ოდენობით იგი გაზრდილია ე. წ. მდიდარი მომხმარებლებისათვის, რომლებიც ელექტროენერგიის მეტ რაოდენობას ხარჯავენ.

**- სემეკის მიერ მიღებული როგორც ძველი, ისე ახალი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივ და ეკონომიკურ ხარვეზებს შეიცავს, არის თუ არა ეს აპარატის არაეფექტური მუშაობის შედეგი? სჭირდება თუ არა კომისიას ახალი კადრები?**

- სემეკის მიერ ადრე მიღებული დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში ეკონომიკური და სამართლებრივი ხარვეზების არსებობაზე თქვენს მოსაზრებებს ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან იდეალურად გამართული ნორმატიული აქტი, თვით კანონიც კი არ შეიძლება არსებობდეს. კომისიის აპარატი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის აღიარებული სპეციალისტებით და ნიჭიერი ახალგაზრდებით, მაგრამ განახლება მაინც საჭიროა.

**- რა უფრო პრიორიტეტულია ენერგოსექტორში - ახალი სიმძლავრეების მშენებლობა თუ არსებულის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და მართვის სრულყოფა?**

- საჭირო ინვესტიციების მოცულობის შემცირების მიზნით და რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არსებული სიმძლავრეების რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და მართვის სრულყოფას. თუმცა, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით, საჭიროა ახალი სიმძლავრეების აშენებაც, რაც უნდა განხორციელდეს მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ტექნიკურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შეფასებების საფუძველზე.

**- 35-110კვ ქსელებზე მიერთებულია საშუალო და მცირე ელექტროსადგურებისა და პირდაპირი მომხმარებლების უდიდესი ნაწილი. ხელისუფლება აპირებს ამ ქსელების გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის გადაცემას, რაც, ჩვენი აზრით, კომპანიის მონოპოლიის გაძლიერებას გამოიწვევს. რა მოსაზრებები გაგაჩნიათ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

- გეთანხმებით, რომ საშუალო და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების უმრავლესობა სახელმწიფო ელექტროსისტემას უკავშირდება 35-110კვ ელექტროგადამცემი ხაზებით. სემეკის აზრით, აღნიშნული ხაზები არ უნდა გადაეცეს სადისტრიბუციო კომპანიას. თუმცა, გადაცემის შემთხვევაში ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი იმის საშუალებას იძლევა, რომ სადისტრიბუციო კომპანიამ ვერ გამოიყენოს მონოპოლიური მდგომარეობა ელექტროენერგიის მწარმოებლის მიმართ.

**- ჩვენთან ელექტრომწარმოებელი და საბითუმო მომხმარებელი, გარკვეულწილად, შეზღუდულია თავისუფალ არჩევანში, მწარმოებელსა და საცალო მომხმარებელს თავისუფალი არჩევანი საერთოდ არ გააჩნიათ. ეს გარემოება ხელს არ უწყობს კონკურენციის განვითარებას, საბოლოო ჯამში კი, წარმოების ეფექტურობასა და მომსახურების გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, რამდენად მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის საცალო ბაზრის ჩამოყალიბება და კეთდება თუ არა რამე ამ მიმართულებით?**

- კონკურენტული საბითუმო და საცალო ელექტრობაზრების ჩამოყალიბებას გარკვეული წინა პირობების არსებობა სჭირდება. დღევანდელ ეტაპზე კონკურენტული საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების არავითარი ობიექტური წინა პირობები არ არსებობს. სამომავლოდ, გასათვალისწინებელია ის, რომ საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც კონკურენტული ელექტრობაზრის მოდელზე გადავიდნენ, შეიმჩნევა ტარიფების მატება და ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობის შემცირება.

**- სემეკს შეუძლია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გააუმჯობესოს სექტორის რეგულირება, თუ იგი გადახედავს თავის დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს და გააუმჯობესებს მათ, რამდენადაც ამის საშუალებას მოქმედი კანონმდებლობა მისცემს. რატომ არ აკეთებს ამას სემეკი?**

- სექტორის რეგულირების ხარისხს განსაზღვრავს საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა სემეკის დადგენილებები და გადაწყვეტილებები. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიას შეაქვს ცვლილებები და დამატებები, რეალობიდან და პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# "მიეცი ნიჭსა გზა ფართო..."





თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდები დასრულდა და მე, როგორც ამ გამოცდების საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და, ამავე დროს, რუბრიკის "გულახდილად" ავტორი, თავს ვალდებულად მივიჩნევ, საზოგადოებას მაქსიმალურად ობიექტური ანგარიში ჩავაბარო.

ნებისმიერი მისაღები გამოცდები აბიტურიენტების, მათი მშობლების, ახლობლების ნერვიულობასა და ორგანიზატორთა, კომისიების წევრთა უდიდეს პასუხისმგებლობასა და ძალისხმევას გულისხმობს. მისაღები გამოცდებით, მათი ჩატარების ორგანიზებულობით, ობიექტურობით, როგორც წესი, კმაყოფილია ის, ვინც გამოცდები წარმატებულად ჩააბარა, მაღალი ქულები მიიღო და უკმაყოფილოა ის, ვინც, მარტივად რომ ვთქვათ, ვერ დახატა და შესაბამისად დაბალი ქულით შეფასდა. სამხატვრო აკადემიის რექტორის გია ბუღაძის და მისაღები გამოცდების თავმჯდომარის გია გუგუშვილის მიერ გამოცდების დაწყებამდე შემუშავებული პრინციპი მარტივი, მაგრამ ამავე დროს პრინციპული იყო - ნამუშევრების შეფასების ანონიმურობა, აბსოლუტური ობიექტურობა და საუკეთესოთა გამოვლენა. შესაბამისად, მართალია დიდი შრომისა და თავგანწირვის ფასად, სამხატვრო აკადემიის წლევანდელ გამოცდებზე, სხვა წლებთან შედარებით, უპრეცედენტო მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პირობები იყო შექმნილი. ორი კვირის განმავლობაში აკადემიის კედლებში, მართალია დაძაბული, მაგრამ რიტმული, მინიმალური ხარვეზების მქონე მუშაობა მიდიოდა. კარისკაციდან, დაწყებული, გამოცდების თავმჯდომარით დამთავრებული, ყველამ მაქსიმუმი გააკეთა. თითოეულ გამოცდაზე, იქნებოდა ეს ხატვა, ფერწერა თუ სპეცკომპოზიცია, შემფასებელი კომისიები მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული, რომლებსაც გამოცდაზე დასწრება, მუშაობის პროცესის თვალყურის დევნება ეკრძალებოდათ. გამოცდების მიმდინარეობას არაპროფესიონალი კურატორები და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აკადემიის მოთხოვნის საფუძველზე მოვლენილი მონიტორინგის ჯგუფი აკონტროლებდა, რომელთა ფუნქციებში მხოლოდ გამოცდის პროცესში შემთხვევით წარმოჩენილი პრობლემის აღმოფხვრა, წესრიგის დამყარება და აბიტურიენტებისთვის სამუშაო გარემოს შექმნა შედიოდა. გამოცდისთვის გამოყოფილი დროის დასრულების შემდეგ თითოეული ნამუშევარი, აბიტურიენტისა და მონიტორინგის ჯგუფის თვალწინ, აკადემიის ტექპერსონალის მიერ ილუქებოდა და მათი შემდგომი შეფასება სრული ანონიმურობის პირობებში ხდებოდა. კომისიის მიერ უკვე შეფასებული ნახატები ასევე მონიტორინგის თვალწინ იხსნებოდა და შედეგები ოქმში ფიქსირდებოდა. ნებისმიერ ქულამიღებულ აბიტურიენტს საკუთარი ნიშნის გაპროტესტების საშუალება ეძლეოდა. სრული გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიზნით, აპელაციაზე შემოსულ თითოეულ აბიტურიენტს მისი სურვილით შერჩეული ერთი პიროვნების შემოყვანის უფლება მიეცა. სულ ერთია, იქნებოდა ეს მშობელი, მისი რეპეტიტორი თუ გარეშე სპეციალისტი. აპელაციის მთავარი პრინციპი ნამუშევრების თვალსაჩინო შედარებაზე იყო აგებული, რამაც, უნდა მოგახსენოთ, ნამდვილად გაამართლა. აპელანტების თითქმის ნახევარი ნამუშევრების შედარების საფუძველზე შეფასების ობიექტურობაში თავად დარწმუნდა. აპელაციის პროცესი ორმხრივ ხასიათს ატარებდა. ერთი მხრივ, შემფასებელი კომისიის წევრები კრიტერიუმებიდან, დასმული ამოცანებიდან გამომდინარე (რომლებიც აბიტურიენტებს გამოცდის დაწყებამდე განემარტებოდათ), საკუთარი შეფასების სამართლიანობას განმარტავდნენ. მეორე მხრივ კი, აბიტურიენტები და მათი თანმხლები პირები საკუთარ პრეტენზიებს აყალიბებდნენ. ამ ორმხრივ პროცესს დამოუკიდებელი სააპელაციო კომისიის წევრებიც ესწრებოდნენ, ისმენდნენ, ითვალისწინებდნენ და შემდგომ, დამოუკიდებლად იღებდნენ აპელაციის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების გადაწყვეტილებას. როგორც შემფასებელი, ისე სააპელაციო კომისიების წევრთა მიდგომის მთავარი პრინციპი პოტენციური ნიჭის დანახვა იყო. ორი კვირის განმავლობაში სამხატვრო აკადემიის ათობით თანამშრომლის მიერ გაწეული შრომის მთავარი მიზანი თითოეული აბიტურიენტის ინტერესების გათვალისწინება, მუშაობისთვის, გამოცდების ჩატარებისთვის ოპტიმალური, მშვიდი გარემოს შექმნა იყო. ნიჭიერი, მონდომებული, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის შეშინებული თვალებისა და, ამავე დროს, ხატვისას მყარი, დარწმუნებული ხელის მქონე აბიტურიენტი ხომ სამხატვრო აკადემიის, მისი პრესტიჟის, მისი განვითარების მომავალია. ჩატარებული გამოცდების სიმკაცრე, პრინციპულობაც მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოს გამოვლენის, მისგან შემდგომში კარგი მხატვრის, ჭეშმარიტი ხელოვანის, პროფესიონალის აღზრდის სურვილიდან გამომდინარეობდა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შემოქმედებითი ტურები - მისაღები გამოცდები დასრულდა, მაგრამ აბიტურიენტთა ღელვა ჯერ არ დასრულებულა. წინ მათ ეროვნული გამოცდები ელით, რომლებიც თავისი სისტემის, პრინციპის სიახლით განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევს. საუკეთესო მხოლოდ ბოლოში გამოვლინდება. ფინიშამდე აბიტურიენტები ჯერ შორს არიან. მაგრამ ჩვენ, სამხატვრო აკადემიას, უკვე შეგვიძლია შეჯამების გაკეთება. 2005 წლის გამოცდებმა გამოავლინა, რომ სამხატვრო აკადემიაში აბიტურიენტთა რიცხვმა არამც თუ იკლო, არამედ პირიქით, მოიმატა. მეორე, ამ გამოცდების ხარჯზე კიდევ ერთხელ თვალნათლივ დამტკიცდა, რომ ხელოვნება, კონკრეტულად კი მხატვრობა არ ისწავლება და მას თანდაყოლილი ნიჭიც ესაჭიროება. ფორმალურად აკადემიაში ველარავინ ხვდება. ყოველგვარი მონაცემის გარეშე, მხოლოდ რეპეტიტორთან ნასწავლის ხარჯზე აკადემიაში ჩაბარება უშედეგოა. და ბოლო, მესამე ის არის, რომ ამ ორი წლის განმავლობაში სამხატვრო აკადემიაში გატარებული სიახლეების, ცვლილებების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ აბიტურიენტს კანონის შესაბამისად ხუთ სხვადასხვა ფაკულტეტზე შეეძლო განაცხადის შეტანა, მიუხედავად გამარტივებული მისაღები გამოცდების ამოცანებისა, დასახვეწი, დასამუშავებელი, გასაუმჯობესებელი ჯერ კიდევ ბევრია. მშვიდად, ობიექტურად, ყოველგვარი განსაკუთრებული სირთულეების, ექსცესების გარეშე, სამართლიანად ჩატარებული მისაღები გამოცდების მიუხედავად, თვალნათლივ დავინახეთ, რომ მომავალი წლისთვის ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აუცილებლად მოსაფიქრებელია მისაღები გამოცდების სრულიად ახალი, კიდევ უფრო გლობალური სქემა, რომელიც რეპეტიტორის ინსტიტუტის აუცილებლობას, ბავშვების ტრაფარეტულ წინასწარ გაწვრთნას სრულიად გამორიცხავს და მომავალ მისაღებ გამოცდებს, კიდევ უფრო მეტად, მხოლოდ და მხოლოდ ნიჭის ფაქტორზე დაყრდნობით წარმართავს. ნიჭისა, რომლის გარეშე ვერც ერთი აბიტურიენტი, სტუდენტი ჭეშმარიტ ხელოვანად ვერ ჩამოყალიბდება და ვერც სამხატვრო აკადემია დაიბრუნებს წლების განმავლობაში ნელ-ნელა დაკარგულ პრესტიჟს. ეს ორმხრივი პროცესია და მასში ორივე მხარეა დაინტერესებული. წლევანდელის მსგავსად პრინციპულად, ზოგიერთისთვის კი შეიძლება მტკივნეულადაც კი, ჩატარებული გამოცდები აკადემიაში ჩაბარებისთვის აუცილებელ პირობებს, მოთხოვნებს მომავალში კიდევ უფრო გაამყარებს. აბიტურიენტებიც, მშობლებიც და თვით პედაგოგებიც პასუხისმგებლობას, ჯანმრთელ, სამართლიან კონკურენციას კიდევ უფრო გაითავისებენ. სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად მოვა ის, ვისაც ეს მართლა უნდა, შეუძლია. ვინც შეიძლება ვერავისთან ემზადებოდა, "ნიკოლაძეში" ან რომელიმე სხვა სასწავლებელში არ უვლია, მაგრამ მასში არის ფერის, ფორმის გრძნობა, ხედვა, აღქმა, აზროვნება, რასაც, ყველაფერს ერთად, ნიჭი ჰქვია და რის გარეშეც თბილისის სამხატვრო აკადემიაში საბუთების შეტანას აზრიც არ ექნება. აკადემია კი ამ ნიჭს ფაქიზად, სწორად, ინდივიდუალურად მიუდგება, პროფესიულად წარმართავს, აღზრდის და ქართულ კულტურას ჭეშმარიტ შემოქმედებს შეჰმატებს, რომლებიც მას ისედაც არასდროს აკლდა. ამ მისაღებმა გამოცდებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენი ნიჭიერი ადამიანია ამ საქართველოში!

# "ხელოვნების უბანი - სამუზეუმო ქუჩა"

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი განძი, სიამაყე, მისი ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობა იყო და დღესაც არის. სამწუხაროდ, ყველამ კარგად ვიცით, რომ თბილისში არსებული მუზეუმების, საგამოფენო დარბაზების სიუხვის მიუხედავად, მათი მდგომარეობა, იქ მოთავსებული უნიკალური ექსპონატების შენახვის პირობები ბევრად უფრო მეტს მოითხოვდა. ყოველგვარ ელემენტარულ მენეჯმენტს, კონცეფციას მოკლებული, უსისტემოდ, უსახსროდ, დამთვალიერებლების გარეშე დარჩენილი მუზეუმები და მათ საცავებში ასევე უსახსრობისა და ხშირ შემთხვევაში უინტერესობის გამო თითქმის დაღუპვის პირას მიყვანილი შედევრები - ასეთი იყო წლების განმავლობაში თბილისის მუზეუმების, საგამოფენო დარბაზების, გალერეების უმეტესობის მდგომარეობა. ამ ბოლო პერიოდში სამუზეუმო სისტემაში დაწყებულმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეფორმამ, განახლებამ, პირადად ჩემში, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთ გულშემატკივარში, ახალი იმედი გააღვიძა. ეგება დღეს მაინც იყოს მოვლილი და სისტემაში მოყვანილი საქართველოს უნიკალური განძეულობა, ხელოვნების განუმეორებელი კოლორიტი, მრავალფეროვანი კულტურა.

მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის წარდგენის მაქსიმალური პირობებია შექმნილი. მაგალითად პარიზში არაერთი ისეთი ქუჩა, უბანი, ხიდიც კი არსებობს, რომლებიც მხოლოდ ფრანგული კულტურის ხარჯზე ცოცხლობს, ვაჭრობს, ტურისტებს იზიდავს და პარიზის განუმეორებელ კოლორიტს ქმნის.

ამ კვირაში ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე "ხელოვნების უბნის - სამუზეუმო ქუჩის" პროექტის პრეზენტაციაზე დასწრებამ, იდეის გაცნობამ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, თბილისის მერიის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ხელოვნების ნაციონალური ცენტრისა და ჯი-ემ-თი ჯგუფისგან მომავალმა ახალმა ინიციატივამ იმედი გამიღვიძა, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქშიც, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით მსოფლიოს ბევრ ქალაქს არ ჩამოუვარდება, კულტურული უპირატესობის მაქსიმალური წარდგენა, გამოყენება, მოვლა მოხდება. იმედი გამიჩნდა, რომ თვითონ პროექტის სახელწოდებიდან გამომდინარე, ერთ დროს ვანდალურად დანგრეული "მხატვრის სახლი" აღდგება და მასში, სხვა ფუნქციების პარალელურად, მხატვრების კანონიერი ინტერესები, უფლებები იქნება გათვალისწინებული, დაცული. იმედი გამიჩნდა, რომ ოდესმე თბილისს ასეთი ლოგიკური და დიდი ხნის ნანატრი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი დაამშვენებს. იმედი გამიჩნდა, რომ ეგება გუდიაშვილის ქუჩაზე მაინც მოიძებნოს ადგილი ფიროსმანის მუდმივი, სრული ექსპოზიციისათვის. იმედი გამიჩნდა, რომ გუდიაშვილის ქუჩაზე განლაგებული უმნიშვნელოვანესი კულტურული ობიექტები - ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ლადო გუდიაშვილის სახელოსნო მოვლილი და გაცოცხლებული იქნება და ეს ყველაფერი მაქსიმალური ცოდნით, პროფესიონალიზმით, სიყვარულითა და კულტურით განხორციელდება. იმედი მაქვს, რომ "ხელოვნების უბანი - სამუზეუმო ქუჩის" პროექტის კონკურსი საზოგადოებისთვის მაქსიმალური გამჭვირვალობითა და ობიექტურობით ჩატარდება. იმედი გამიჩნდა იმისა, რომ თბილისს კიდევ ერთი კოლორიტული, სწორი კონცეფციისა და საინტერესო, მრავალი ფუნქციის მქონე, არა თეატრალური დეკორაციასავით უსიცოცხლო, არამედ ცოცხალი, სანახაობრივი, ინფორმატიული, ხალხმრავალი და თბილისელებისთვის საყვარელი, სტუმრებისთვის კი საინტერესო, ბევრის მთქმელი, ამსახველი ქუჩა შეემატება. პროექტის ავტორების, ინიციატორების ავტორიტეტიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ამჯერად მაინც იმედი არ გამიცრუვდება.

# ქართული სიმღერის გადარჩენის შანსი



ის, რომ ეკა მამალაძეს ბავშვთა სასიმღერო სკოლა ჰქონდა, სადაც, ენთუზიაზმით აღსავსე, იმდენად ბევრ დროს ატარებდა, რომ ჩვენ, მისი მეგობრები, ვეჭვიანობდით კიდეც, უკვე რამდენიმე თვეა, ვიცოდი. მაგრამ როდესაც ამ კვირაში ეკამ მისი სკოლის გამოსაშვებ საღამოზე დასწრება მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი და გაუსაძლისი სიცხისა და ზოგადად საბავშვო სიმღერის სიყვარულის ნაკლებობის მიუხედავად, თოჯინების თეატრში მაინც მივედი. მივედი და ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვისიამოვნე! ბავშვურად ჩაცმული (ყოველგვარი საღამოს კაბებისა და მაკიაჟის გარეშე, როგორც ეს, სამწუხაროდ, ხშირად გვინახავს), ბავშვებისთვის შესაფერისი ცეკვების თანხლებით შესანიშნავ საბავშვო სიმღერებს ათობით გოგო და ბიჭი მონდომებით, გულმოდგინედ და გულისამაჩუყებლად ასრულებდნენ. მიღებული სიამოვნების მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ბავშვებს პატარაობიდანვე მუსიკალური და, არა მხოლოდ მუსიკალური, გემოვნება უვითარდებათ, ქართული სიმღერის სწორი, ტრადიციული შესრულება ესწავლებათ. ეკა მამალაძე და მისი კოლეგები მაია ჩხეიძე და ევგენი ჭავჭანიძე ბავშვებს უვითარებენ, ასწავლიან სწორედ იმას, რაც დღევანდელი ქართული ესტრადის მთავარ დეფიციტს წარმოადგენს. შეიძლება ამ სიმპათიური, მომხიბვლელი ბავშვებისაგან პროფესიონალი მომღერალი არც ერთი არ გამოვიდეს, მაგრამ ეკა მამალაძის სასიმღერო სკოლის გამოსაშვებმა საღამომ თვალნათლივ დამანახა, რომ არსებობს ადგილი, სადაც ბავშვს კარგ, ნამდვილ, გემოვნებიან სიმღერას ასწავლიან, და ამის ხარჯზე ქართული სიმღერის გადარჩენის შანსიც არსებობს.





# მართლაც, რომ დავიღალე!

ვინმე გაუგებარი კრიმინალის "ჯღანას" და მისი მხარდამჭერი რიგითი ხულიგნების თუ ქართული პოლიტიკის ოპოზიციური ელიტის შესახებ იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ ამაზე საუბარს ნამდვილად აღარ ვაპირებ. საზოგადოების მიერ დასკვნებიც შესანიშნავად გაკეთდა. ყველას დამსახურებული ადგილი და სახელიც მოეძებნა. უბრალოდ, მას შემდეგ, რაც ამ უაზრო ვნებათაღელვამ ჩაიარა, მივხვდი, რომ მართლაც, დავიღალე. ამდენი გულაცრუებისაგან, ილუზიების ნგრევისაგან, უპრინციპობისაგან, შანტაჟისაგან, ხელოვნურად და, ამავე დროს, უნიჭოდ შექმნილი ნერვიული გარემოსაგან - დავიღალე!

დავიღალე იმ შეგრძნებისაგან, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი უმეტესად ისეთი პიროვნებებითაა სავსე, რომელთა სანატრელი ოცნება ჩვენს ხარჯზე ახალი, თუნდაც სისხლიანი გადატრიალების მოწყობა-აგორებაა. დავიღალე ისეთი პოლიტიკური მოღვაწეობისაგან, რომლის ერთადერთი მიზანი საქართველო კი არა, არამედ საკუთარი ინტერესები, კეთილდღეობა და ხელისუფლებასთან ნებისმიერი გზით მისვლაა.

დავიღალე იმისგან, რომ უკვე მერამდენედ, ჩვენ თვალწინ ახალი, მომავლის მქონე, თითქოსდა ინტელექტუალურ-პატრიოტული პოლიტიკური ძალა, ცალკეული პოლიტიკოსები მოღვაწეობის დასაწყისშივე სრულ კრახს განიცდიან. დამღლელი და სამწუხარო სანახავია, როდესაც მეტ-ნაკლებად იმედის მომცემი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი პოლიტიკურ სცენაზე ასვლისთანავე ასეთ მტკივნეულ, აშკარა ჩავარდნას განიცდის.

დამღალა პროფესიონალი ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმმა, პირველივე, ოდნავი ექსტრემალური სიტუაციისთვის ალღოს ვერაღებამ, დაბნევამ, ანგაჟირებამ, მიკერძოებამ და ობიექტური პრინციპულობის უნიჭო თამაშმა. ნამდვილად დამღლელია დღიდან დღემდე ამ უსუსურობის მზერა.

დამღალა იმის აშკარა შეგრძნებამ, რომ ქართული საზოგადოება დაიღალა - ვიღაცის სპეკულაციისაგან, ტყუილისაგან, პოპულიზმისაგან, არაპროფესიონალიზმისაგან, უპასუხისმგებლობისაგან, ავანტიურიზმისაგან, ფსევდოპრინციპულობისაგან, სუბიექტივიზმისაგან. საზოგადოების ზოგიერთი წევრი კი იმდენად დაიღალა, რომ მათ ნერვულ სისტემას მართლაც რომ სერიოზული საფრთხე შეექმნა. დაღლილობისაგან ისიც კი ავიწყდებათ, ვინ არიან, სად იმყოფებიან, ვის ესაუბრებიან, ვინ უსმენთ, უყურებთ, ვის წინაშე, როდის და რაში დაეკისრათ პასუხისმგებლობა. დაიღალნენ და ეს დაღლა ისტერიკაში ვლინდება, რომლის შემხედვარენი კი ჩვენ ვიღლებით.

მართლაც, დავიღალე! მოდით, ერთად შევისვენოთ და მერე საქმე ვაკეთოთ. ყველამ ჩვენი საქმე.

ფეხბურთი

# რობერტო კარლოსი: "ყველაფერი უნდა მოვიგოთ"

რობერტო კარლოსი მადრიდში ჩავიდა და გუშინ გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო. მან ვარჯიშის წინ გაზეთ "ასის" ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა.

**- ბოლო დროს ბრაზილიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ "რეალი" "სანტოსის" ცენტრალური მცველით რიკარდინიოთი დაინტერესდა.**

- მას კარგად ვიცნობ და პერსპექტიულ ფეხბურთელად მივიჩნევ. "სანტოსის" კაპიტანი გამოცდილი მოთამაშეა და ლიდერის თვისებებითაც გამოირჩევა, მაგრამ ჩვენ მის ადგილზე უკვე გვყავს რაული. ასე რომ, რიკარდინიოს შეუძლია, მას დაეხმაროს და ცოტა ამოასუნთქოს.

**- გულშემატკივრები ღელავენ, რომ რობინიო "რეალში" არ გადავა...**

- იმის მიხედვით, რაც ბრაზილიურ პრესაში წავიკითხე, არც კი ვიცი, ამ თემაზე რა ვთქვა. ისე, კარგი იქნებოდა მადრიდში მისი გადმოსვლა, რადგან ფანტასტიკური ფეხბურთელია. მას "სანტოსთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და გასაგებია, რომ კლუბს სურს ფეხბურთელში დიდი ფული აიღოს. ყოველთვის, როცა რობინიოს ამ საკითხზე ვესაუბრები, ცოტა არ იყოს, ვიბნევი, ამიტომ კომენტარის გაკეთება არ მსურს. ბრაზილიაში ბრალს მდებენ, რომ ფეხბურთელებს მე ვიბირებ, მაგრამ ტყუილია. ეს სწორედ მადრიდის "რეალს" უნდა მისი შეძენა. მე კი მხოლოდ აზრს გამოვთქვამ რობინიოს შესახებ.

**- მაგრამ ის ირწმუნებოდა, რომ მადრიდში მისი გადასვლა საათების საქმეა...**

- რომელ ფეხბურთელს არ სურს "რეალში" გადასვლა? ყველას. აი, ამაშია საქმე. რობინიოს შესახებ მოლაპარაკება რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ამიტომ მას სურდა, რომ შეთანხმება რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო. "სანტოსს" მეტი ფული უნდა და თუ "რეალი" არ გადაიხდის, კლუბი ფეხბურთელს არ გამოუშვებს. ვფიქრობ, მოცდაა საჭირო, მაგრამ რობინიოს მხოლოდ მადრიდის "რეალში" თამაში სურს და ეს არავისთვის დასამალი არ არის.

**- კლუბი გაძლიერებას აპირებს, მაგრამ შენს პოზიციაზე არავის ეძებს. ესე იგი, კარგ ფორმაში ხარ?**

- უკვე 32 წლის ვარ და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, ყველა მატჩში მივიღებ მონაწილეობას, რომელსაც გუნდი გამართავს. თუ გუნდს ჩემს პოზიციაზე არავინ ეყოლება, ეს პრობლემა არ არის. გასულ სეზონში რაულ ბრავო იყო, მაგრამ მისი მომავლის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, იმ ფიზიკური მომზადების წყალობით, რომელსაც სეზონის დაწყებამდე გავივლით, საუკეთესო ფორმაში ვიქნები და ყველა მატჩში ვითამაშებ როგორც ბრაზილიის ნაკრების, ისე "რეალის" შემადგენლობაში.



**- გაგახარებ და გეტყვი, რომ დიოგოს დაცვის მარცხენა ფრთაზე თამაში შეუძლია.**

- მართლა? შესანიშნავი სიახლეა. ამის შესახებ არ ვიცოდი. და საერთოდ, მას არც ისე კარგად ვიცნობ. მისი თამაში არასოდეს მინახავს. კარგია, როცა არსებობს ადამიანი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შენი შეცვლა შეუძლია. თუმცა, ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელი უნდა იყოს, რადგან მადრიდის "რეალი" ფეხბურთელს მაქსიმალურ მოთხოვნებს უყენებს. თუმცა, მე მისთვის ადგილის დათმობას მხოლოდ ტრავმის ან ზედმეტი ყვითელი ბარათის მიღების შემთხვევაში ვაპირებ. დანარჩენ შემთხვევებში მზად ვარ მუდმივად ვითამაშო.

**- სამწვრთნელო შტაბს რომელ ფეხბურთელებს შეურჩევდი?**

- მირჩევნია არ დავასახელო, რომ კლუბის საშინაო საქმეებში არ ჩავერიო. ფლორენტინოს, ბუტრაგენიოსა და საკის ამ საკითხთან დაკავშირებით ნათელი წარმოდგენა აქვთ. მათ კარგად იციან, კლუბისთვის რა ჯობს.

**- უკვე ორი სეზონია, რაც "რეალი" ვერაფერს იგებს. კლუბზე ზეწოლა წლევანდელ სეზონში უფრო დიდი იქნება?**

- ნამდვილად. ჩვენ არ გვაქვს უფლება, წელსაც უტიტულოდ დავრჩეთ. "რეალისთვის" ორი წელი ჯილდოს გარეშე ძალიან ბევრია და ეს კარგად გვესმის, რაც უარყოფითად აისახება ჩვენზეც, გულშემატკივრებზეც და კლუბის პრეზიდენტზეც.

**- ფიქრობ, რომ ჩრდილოამერიკული და აზიური ტურნე ნაყოფიერი იქნება?**

- რა თქმა უნდა. ორი წელია აზიაში დავფრინავთ და წინა წლების გამოცდილება უაღრესად დადებითი გამოდგა. ვფიქრობ, წლევანდელი ტურნეც სასარგებლო იქნება, რადგან შემდეგ ავსტრიაში განვაგრძობთ მზადებას. ამ ტურნეს უკვე მივეჩვიეთ, თანაც, იქ ძალიან კარგად გვეპყრობიან, წარმოუდგენელ დახვედრას გვიწყობენ.

# წინასატალინო ამბები ესტონური ბარიერის წინ

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამო" ორი დღის წინ დაბრუნდა ევროპიდან, სადაც საწვრთნელი შეკრება გაიარა და რამდენიმე ამხანაგური საკონტროლო მატჩი ჩაატარა. "დინამო" 20 ივნისს გაემგზავრა გერმანიაში, დაბა რუიტში, სადაც 10 დღეს ვარჯიშობდა, იქიდან კი შვეიცარიაში გადაინაცვლა. გერმანიაში ჩვენმა გუნდმა სამი სპარინგმატჩი გამართა რეგიონალლიგის გუნდებთან და სამივეში დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. შვეიცარიაში "დინამო" საშუალო ევროპული დონის გუნდებს - "სენტ გალენს", "გრასჰოპერსს" და "შოპჰაუზენს" შეხვდა. ამ თამაშებს უნდა ეჩვენებინა, რამდენად ნაყოფიერი წვრთნა ჩატარდა რუიტში. შედეგი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: 1:1 "სენტ გალენთან", მოგება "გრასჰოპერსთან" 1:0 და წაგება "შოპჰაუზენთან" 1:2, თუმცა, ბოლო მატჩი "დინამომ" სათადარიგო შემადგენლობით ჩაატარა. სწორედ ამ თემაზე გამართა გუშინ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენცია.

"ყველა თვალსაზრისით, გერმანიასა და შვეიცარიაში ჩატარებული შეკრება ნაყოფიერი გამოდგა. პირველ რიგში, კმაყოფილი ვარ იმით, რომ მთელი შეკრების განმავლობაში არც ერთ ფეხბურთელს (თუ არ ჩავთვლით კაშიას და გრიგალაშვილის ძველ ტრავმებს), ტრავმა არ მიუღია, კუნთის დაჭიმვისგანაც არავინ დაშავებულა. ეს ადასტურებს, რომ შტაბმა საწვრთნელი პროცესი სწორად წარმართა", - კმაყოფილია თავისი ფეხბურთელების ჯანმრთელობის მდგომარეობით მთავარი მწვრთნელი.

კახა ცხადაძის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. გუნდმა სეზონებს შორის შესვენებაზე ათამდე ახალი ფეხბურთელი დაიმატა. ზოგი პირველად მოხვდა "დინამოში", ზოგიც სხვა კლუბებში იყო განათხოვრებული და მთავარი მწვრთნელის სურვილით მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. მოკლედ, 2005-06 წლების სეზონში "დინამო" სრულიად ახალი ფორმაციის, ახალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი იქნება. ნებისმიერი გუნდი, რომელშიც თაობა თუნდაც ნაწილობრივ იცვლება, ამ პროცესს მტკივნეულად განიცდის. "დინამო" პრაქტიკულად თავიდან დაკომპლექტდა და ცხადაძეს ახალი კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად, შესათამაშებლად და სათამაშო რგოლების დასაბალანსებლად ცოტა დრო ჰქონდა. 12 ივლისს საქართველოს ჩემპიონს სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ელის - სტუმრად, ტალინის "ლევადიასთან".

"იმისთვის, რომ გუნდის ჩამოყალიბებაზე დაიწყო მუშაობა, პირველი ნაბიჯი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებისკენ უნდა გადაიდგას. ამ საკითხის გადაჭრა თბილისშივე, გერმანიაში გამგზავრებამდე დავიწყეთ. საწვრთნელი პროცესი მძიმე ფიზიკური დატვირთვის ფონზე მიმდინარეობდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა გამოამჟღავნეს და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ უჭირდათ, უსიტყვოდ ასრულებდნენ ყველა მითითებას. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ დავინახე - ფეხბურთელებს მთავარი მწვრთნელის და ასისტენტების სჯერათ. ამ ნდობამ სათანადო შედეგი გამოიღო: ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით, ყველა ფეხბურთელი ოპტიმალურ სპორტულ ფორმას მიუახლოვდა. ასევე ნაყოფიერად ჩატარდა ტაქტიკური ხასიათის ვარჯიშები და მთლიანობაში ეს შეკრება ერთობ ეფექტური აღმოჩნდა, რაც მაღალი კლასის გუნდებთან ნაჩვენებმა თამაშმაც დაადასტურა", - აღნიშნა კახა ცხადაძემ.

იმ დროს, როცა "დინამო" შვეიცარიის უმაღლესი ლიგის გუნდებს ეპაექრებოდა, მისმა მეტოქემ, ტალინის "ლევადიამ" საკონტროლო მატჩი გამართა მოსკოვში, ადგილობრივ "მოსკვასთან". მატჩი მოსკოველების გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. მატჩს კახა ცხადაძეც დაესწრო.

"მადლობა მინდა ვუთხრა "დინამოს" ხელმძღვანელობას, ბუბა ტყავაძეს და ამირან ღიბრაძეს, რომლებმაც ყველა პრობლემა მომიხსნეს და ამ თამაშზე დასწრება მოვახერხე. ამხანაგური მატჩის მიხედვით შორს მიმავალ დასკვნებს ვერ გააკეთებ, თუმცა, "ლევადიას" შესაძლებლობებზე გარკვეული წარმოდგენა მაინც შემექმნა. დღეს შანსებზე ლაპარაკი არ შეიძლება. მატჩამდე ჩვენ და "ლევადიას" შემდეგ წრეში გასვლის თანაბარი შანსი გვაქვს. ეს შანსი ერთი ან მეორე გუნდის სასარგებლოდ იმის მიხედვით გაიზრდება ან შემცირდება, თუ კონკრეტულად მატჩის დღეს ვინ როგორ ფორმაში იქნება და ვინ უკეთ გამოიყენებს საკუთარ შესაძლებლობებს", - განაცხადა "დინამოს" თავკაცმა.

პრესკონფერენციის შემდეგ დიღმის ბაზაზე გაიმართა ახალწვეული ფეხბურთელებისთვის "დინამოს" მაისურების გადაცემის საზეიმო ცერემონია. სპორტული ფორმა მოირგეს ზვიად სტურუამ, რევაზ ქემოკლიძემ, გიორგი ნერგაძემ, ლევან აკობიამ და გიორგი მეგრელაძემ.

P.S. "დინამოსთან" ერთად ტალინში გაემგზავრებიან "24 საათის" სპორტული ჟურნალისტები მიხეილ აბაიშვილი და პაატა თოთაძე, რომელთა მიერ ესტონეთიდან გამოგზავნილ რეპორტაჟებს 12 და 13 ივლისს შემოგთავაზებთ.


**WORLD BANK OFFICE TBILISI**
5A, 1st Drive Chavchavadze Ave, Georgia
Tel: 91 30 96, Fax: 91 34 78

**July 8, 2005**

***SALE OF VEHICLE***

**The World Bank Country Office Tbilisi wishes to sell the following office vehicle:**

| | |
|---|---|
| **Model:** | **Toyota Landcruiser 100** |
| **Made:** | **06/1998** |
| **Colour:** | **Dark Blue** |
| **Mileage:** | **202300 km** |
| **Fuel:** | **Diesel** |
| **Condition:** | **Operational** |

**Bids for each car should be submitted separately and the highest bid will be accepted, subject to final approval.**

**Anyone wishing to view the vehicles can do so at the World Bank Office, located at 5A, I st Drive, Chavchavadze Ave, between Monday, July 11th and Monday, July 25th, 2005 from 10:00am until 5:00pm.**

**The cars are sold as seen and any Government Taxes payable should be met by the purchaser.**

**Sealed bids should be submitted with the Reference # 505 on the envelope, to be addressed to Mr. Van Roy Southworth, Country Manager, World Bank Office Tbilisi, by Monday, July 25th, 5:00pm.**

**All the bids will then be opened, and the successful bidder informed accordingly.**

**The World Bank Country Office Tbilisi,**
**5A, I st Drive, Chavchavadze Ave**



## ადმინისტრატორი

კომპანია **BP Exploration Caspian Sea Ltd** კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას სუფსის ტერმინალზე ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობებია:

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
■ პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს საკითხებზე
■- STOP პროგრამაში აქტიური მონაწილეობა
■ თარჯიმნის ფუნქციების შესრულება
■ ყიდვა/მომსახურების განაცხადების წარმოება MAXIMO-ს საშუალებით
■- სუფსის ტრეინინგების კოორდინაცია, მათ შორის მგზავრობისა და საცხოვრებლის მოთხოვნილებების კოორდინაცია
■ სუფსის თანამშრომლებთან დაკავშირებულ საკითხებზე BP-ის კადრებისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებთან მოლაპარაკება
■ ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაცია MAXIMO-ს საშუალებით
■ სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის აღრიცხვის სისტემის კოორდინაცია
■ სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია
■ საწყობის ინვენტარიზაციის სისტემის კოორდინაცია
■ სატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური შემოწმებების შეგროვება და განხილვა, დანაკლისის შემოწმება. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების მოთხოვნის შევსება და ჩაბარება. თუ რაიმე შემჩნეული დეფექტის გამო სახიფათოა სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ამ სატრანსპორტო საშუალების ხმარებიდან დაუყოვნებლივ გამოყვანის უზრუნველყოფა.
■ შავი ყუთიდან მონაცემების ჩამოტვირთვა, ანგარიშების დაბეჭდვა და სუფსის მენეჯერისათვისა და GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორისათვის გაგზავნა თბილისის ოფისში
■ ყველა ტრანსპორტის საშუალების მიერ დაფარული დისტანციის ჩანაწერების წარმოება და ანგარიშვალდებულება GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორის წინაშე თბილისში
■ იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, როგორიცაა ტექნიკური პასპორტი, გამოყენებამდე სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიური შემოწმების საკონტროლო სია, არის ყველა სატრანსპორტო საშუალებაში.
■ სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის წარმოება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

■ ოფისში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საკუთარი სამუშაოს შესრულების მინიმალური ზედამხედველობით შესრულების უნარი, გუნდური მუშაობისას ეფექტური კომუნიკაციის უნარი
■ უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
■ ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
■ შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 19 ივლისი, სამშაბათი, 18:00.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38



## წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ)

ICRC

აცხადებს ვაკანსიას **Field Officer**-ის თანამდებობაზე. კონტრაქტი დაიდება ექვსი თვის ვადით, (შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით).

ოფიცერი იმუშავებს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სექტორში.

აგრეთვე კოორდინირებას გაუწევს წჯსკ-ს სამედიცინო პროგრამებს საქართველოში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით.

**ოფიცერს დაევალება:**

გაუწიოს დახმარება წჯსკ-ს თანამშრომლებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დაეხმაროს ეკონომიური უსაფრთხოების კოორდინატორს წერილობითი და ზეპირი თარგმანის დროს.

უზრუნველყოს კონტაქტები ეკონომიური უსაფრთხოების და ჯანდაცვის სექტორში მომუშავე ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიოზაციების წარმომადგენლებთან.

დაესწროს ყველა აუცილებელ შეხვედრას.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტესტსა და გასაუბრებას.

**პროფესიული გამოცდილება**

უმაღლესი განათლება (სამედიცინო ან სოციალური განხრით).
- შესაბამის სფეროში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.
ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა.
- კომპიუტერული უნარჩვევები

**განცხადებების მიღების პროცედურა**
დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, წარმოადგინონ დეტალური ავტობიოგრაფია (CV), პირადობის მოწმობის და უმარლესი განათლების დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი
წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
კეიდიას ქ. N4, ადმინისტრაციაში.

განაცხადის მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 15 ივლისი, პარასკევი.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას გულისხმობს, რომ მხოლოდ შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას.



## ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის

## განცხადება

1. ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის მიერ საოფისე ავეჯის შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვა ინდ. მეწარმე "ლიანა ჭილაიამ". გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება მიმდინარე წლის 5 ივლისს.
2. ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის მიერ ციფრული სატელეფონო სადგურის (მინი ა.ს.ს.) შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გაიმარჯვა ს.ს. "ჯი და ჯი"-მ. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება მიმდინარე წლის 6 ივლისს.

# მილიონს პლუს

## ძეგლთა სარეაბილიტაციო პროექტი ამუშავდა

*80-იანი წლების შემდეგ პირველად სახელმწიფომ გადაწყვიტა იზრუნოს უნიკალური ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციაზე. ამ მიზნით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში დაიწყო ძეგლთა სარეაბილიტაციო პროექტი. პროგრამის განსახორციელებლად წლევანდელი ბიუჯეტიდან მილიონი ლარია გათვალისწინებული.*

ვერა ნეფარიძე

ეს თანხა სამოცამდე არქიტექტურულ და ფრესკულ ძეგლს უნდა გასწვდეს. შესასრულებელია სხვადასხვა სახის, სადიაგნოსტიკო, საპროექტო, სარეაბილიტაციო და სარესტავრაციო სამუშაოები. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ნუსხის მიხედვით, ეს სამუშაოები ჩაუტარდება სამთავისის ტაძრის კომპლექსს, ბაგრატის ტაძარს, ატენის სიონს, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსს, ალავერდს, ხაშმის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას, ხაშმის კაწარეთის სამებას, რკონის წმ. სვიმეონ მესვეტეს, ყინწვისის, უბისის, ზარზმის, მატნის ეკლესიების მოხატულობებს, ნიქოზის საკათედრო ტაძარს, ცაიშის ეკლესიას, კრიხის (სოფელი რაჭაში) მთავარანგელოზის ეკლესიას და ა.შ. ამას გარდა, გაგრძელდება არქეოლოგიური სამუშაოები დედოფლის გორაზე (კასპის რაიონი).

შუა საუკუნეების ძეგლების გარდა, დაგეგმილია დაიწყოს კვლევითი წინასაპროექტო მუშაობა თბილისის ისტორიულ უბნებში მდებარე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ხუთ ურბანულ ძეგლზე. გუშინ სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელები მინისტრის მოადგილესთან ნიკოლოზ ვაჩეიშვილთან ერთად ბეთლემის ეკლესიას სტუმრობდნენ. ორი კვირის წინათ აქ მეჩვიდმეტე საუკუნით დათარიღებულ სამრეკლოზე ათკაციანმა ჯგუფმა აღდგენითი სამუშაოები დაიწყო (რესტავრატორი ნინო ბაკურაძე). სამსართულიანი სამრეკლოს რესტავრაციის სურვილი ბოლოს თურმე გასული საუკუნის 50-იან წლებში გასჩენიათ, მაგრამ მის განსახორციელებლად რეალურად მუშაობა არც დაწყებულა. აგურის სამრეკლო სხვადასხვა დროს განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებდა, ერთხანს ნაგებობას საცხოვრებლადაც იყენებდნენ. სარესტავრაციო სამუშაოები ძეგლზე სამ თვეში უნდა დასრულდეს.

სარეაბილიტაციო ძეგლთა ნუსხის შედგენაში მონაწილეობის შესაძლებლობა სამინისტრომ სპეციალისტების გარდა, ფართო საზოგადოებასაც მისცა. ამ მიზნით გამოქვეყნებული იყო (ჩვენს გაზეთშიც იბეჭდებოდა) სპეციალური კითხვარი, რომლის მეშვეობითაც ყველას შეეძლო განაცხადის სახით დეპარტამენტში გაეგზავნა მისი აზრით სასწრაფოდ სარეაბილიტაციო ძეგლების სია. ამ სახით, დეპარტამენტში ორასამდე ძეგლის (ძირითადად, რეგიონებში არსებული) ნუსხა შედგა; ძეგლები შედეგების შესაბამისად სამინისტროს კომისიამ და საქართველოს საპატრიარქოს საბჭომ დაამტკიცა.



ე.წ. "მილიონიან პროექტს" კიდევ ერთი ეტაპი აქვს. პროექტის დამთავრების შემდეგ დასრულებული სამუშაოები ათბალიანი სისტემით შეფასდება, გამარჯვებულები კი დაჯილდოვდებიან ნომინაციების (საუკეთესო სარესტავრაციო პროექტი, რესტავრატორი, კონსტრუქტორი, საუკეთესო გუნდური ნამუშევარი, განსაკუთრებული წვლილი ძეგლთა რეაბილიტაციის საქმეში, საუკეთესო ინოვაცია) მიხედვით. დაბოლოს, შერჩეული ძეგლების აღდგენას მილიონი ლარი არ ყოფნის. ფონდ "ქართუს" "საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი" პროექტის განხორციელებას მნიშვნელოვანი ფინანსური შენატანით ეხმარება.

# გზა გაათავისუფლეთ, მეფე მოდის!

ლოს ანჯელესში, პიტერსენის ავტომუზეუმში მიმდინარე გამოფენები, სპეციფიკიდან გამომდინარე, უმეტესწილად მანქანებს ეძღვნება. ტრადიციას არც ბოლო ექსპოზიცია არღვევს, თუმცა, წინა ღონისძიებებისგან რადიკალურად განსხვავდება. წარმოდგენილი მანქანები სახელმწიფოს მეთაურებსა და მონარქებს ეკუთვნით და თვალისმომჭრელი ფუფუნებით გამოირჩევიან.

1939 წლის ბუგატი 57C ირანის შაჰს საფრანგეთის მთავრობამ საქორწინო საჩუქრად გაუგზავნა, უზარმაზარი ლიმუზინი - ტიბეტელ დალაი ლამას. 1939 წელს გამოშვებული პაკარდის Super Eight Phaeton-ი ხუან და ევა პერონების განკარგულებაში იყო, 1988 წლის დაჯავშნილი მერსედეს-ბენც SEL-ი კი - ფილიპინელი დიქტატორის ფერდინანდ მარკოსის.

კურატორი ლესლი კენდელი დადის ბრჭყვიალა მანქანების რიგებს შორის და ნახევრად ხუმრობით ამბობს: ამ მანქანებს ენა რომ ჰქონოდათ, ალბათ, ჩუმად აარითქლებდნენო. თუმცა, საბედნიეროდ, მანქანებმა ლაპარაკი არ იცოდნენ, ამიტომ თავიანთი საამაყო ცხენის ძალებით მონარქების განუზომელ და ხშირად სისხლიან ძალას გადაურჩნენ.

გამოფენის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ მანქანები მუზეუმში უამრავ ცნობისმოყვარეს მიიზიდავს. სახელმწიფოს პირველი პირების შესახებ ხომ ინტერესი რომაელი იმპერატორების დროიდან მოჰყვება საზოგადოებას. ჯერ კიდევ იმ დროიდან მასები დიდი ინტერესით შესცქეროდნენ სამეფო პროცესიებს და აკვირდებოდნენ თითოეულ დეტალს. მას შემდეგ კი, რაც გაჩნდა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ეს ინტერესი მუდმივად და ამომწურავად კმაყოფილდება. კენდელი დასძენს:

"როცა სახელმწიფოს პირველი პირი საჭესთან ზის ან, უბრალოდ, მას ხალხი მანქანაში ხედავს, ის უკვე მთელი ქვეყნის სახელით იწყებს ლაპარაკს. ამიტომაც აუცილებელია, სახელმწიფოს მეთაური თავისი მანქანითურთ მაქსიმალურად თანამედროვედ და ლამაზად გამოიყურებოდეს. რეაქცია ხალხში დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: "შეხედეთ, მე ვამაყობ, ეს ჩემი ლიდერია". ხომ არავის მოეწონება პრეზიდენტი ბუში იუგოში გამოჭიმული რომ ნახოს?"

თუმცა, ცხადია, პრობლემას უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა ქმნის. მას შემდეგ, რაც 1914 წელს, სარაევოში დიდი ჰერცოგი ფრანც ფერდინანდი მოტოციკლზე მოკლეს, ლიდერები მანქანის გარეგნულ კაშკაშზე მეტად დაცულობის ხარისხს აქცევენ ყურადღებას. იდეალური ვარიანტი ასეთია: ის კარგ მანქანაში უნდა იჯდეს, სადაც ხალხი კარგად დაინახავს და მანქანა კარგადაც უნდა იყოს დაცული.

დაცვა, ცხადია, "კარგ ბიჭ" ლიდერებსაც სჭირდებათ. მექსიკის რეფორმისტი პრეზიდენტი ლაზარო კარდენასი "კბილებამდე" დაჯავშნილი 1938 წლის პაკარდ Twelve Touring Cabriolet-ით დადიოდა. ის არ იყო კორუმპირებული, მაგრამ მისი მოკვლის საფრთხე მაინც არსებობდა - კარდენასმა ხომ ნავთობის ინდუსტრია სახელმწიფო მფლობელობაში გადაიტანა.

მაგრამ რადგან ბრბოს კარგად უნდა დაენახა ქუჩაში ჩავლილი ლიდერი, ამიტომ გადახდილი მანქანები ამ ოფიციალური პროცესიების განუყრელი ნაწილი გახდა. პიტერსენის მუზეუმშიც ასეთი ავტოები მრავლადაა წარმოდგენილი: 1953 წლის ორკარიანი კადილაკი ელდორადო, რომელშიც დუაით ეიზენჰაუერი პირველი ინაუგურაციის რიტუალისას იჯდა. იქვეა ეიზენჰაუერის უკვე თეთრი სახლის პერიოდის მეორე მანქანა - კრაისლერის Imperial Dual Cowl Phaeton-ი, ასევე გადახდილი საავლუმო ავტო.



ბუნებრივია, პარალელურად არავის ავიწყდებოდა, რომ გადახდილ მანქანაში ჯდომა დიდი საფრთხეა. ამის დასტური 1963 წელს მომხდარი პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობაც არის. მას მერე ამერიკელმა პრეზიდენტებმა თანდათან დაივიწყეს ძველი ტრადიცია და სქელი და შავი ბალისტიკური შუშის მიღმა მთლიანად უჩინარნი გახდნენ. კენედის X-100 Lincoln Continental ლიმუზინიც (ის ჰენრი ფორდის მუზეუმის მუდმივ კოლექციაში შედის) გადააკეთეს, გადახურეს და გამჭვირვალე ჯავშანით შემოსეს. შესაბამისად, დღეს პრეზიდენტების გარაჟებში გადახდილი მანქანები სულ უფრო იშვიათად გვხვდება.

გამოფენაზე წარმოდგენილ მანქანებს შორის, ცხადია, იოანე პავლე მეორის ცნობილი მანქანაც არის. მას შემდეგ, რაც წმ. პეტრეს მოედანზე გადახდილ მანქანაში მდგარი პაპი კინაღამ მოკლეს, 1982 წლის რენჯროვერი გადააკეთეს ისე, რომ ფეხზე მდგარი პაპი დაჯავშნილ შუშაში რჩებოდა.

არის გენერალ-მაიორ მაჰარაჯას კუთვნილი 1935 Duesenberg SJ Convertible Coupe-ც - 18 ფუტის სიგრძის მანქანა 400 ცხენის ძალით, ლურჯი და წითელი შუქის ფარებით (ამ შუქებით უნდა გაერჩიათ რეზიდენციის მცველებს, მანქანას მაჰარაჯა მართავდა თუ მისი ცოლი და შესაბამისი რიტუალისთვის მოემზადებინათ შინამოსამსახურეები) და იქვეა 1954 წლის წითელი De Soto Adventurer II, რომელიც მაროკოს სულთანს მოჰამედ მეხუთეს ეკუთვნოდა.

გამოფენა იანვრამდე გაგრძელდება. ჩვენ კი ვნახოთ რამდენიმე საინტერესო ფოტო.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), ხელახლა აცხადებს ღია ტენდერს ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.10 მონაკვეთის (ლოტი-1) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესაბამისად, მათ შორის საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოების ძირითადი ნაწილი—საფარის მოწყობა ასფალტობეტონის ნარევით უნდა დასრულდეს 2005 წლის 15 ოქტომბერს.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 22 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 22 ივლისის 1200 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 2 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 3 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ | 1 |
| 4 | ავტობეტონსარევი | 1 |
| 5 | ბულდოზერი სიმძლავრით 79-96 კვტ | 1 |
| 6 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 7 | სანგრევი ჩაქუჩები | 2 |
| 8 | საგზაო ფრეზი | 1 |
| 9 | ასფალტდამგები | 1 |
| 10 | სატკეპნი ვიბრაციული 4 ტ | 1 |
| 11 | სატკეპნი პნევმატური 16-20 ტ | 1 |
| 12 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 13 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.4 მ³ | 1 |
| 14 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.5 მ³ | 1 |
| 15 | ექსკავატორი ციცხვის მოც. 0.25 მ³ | 1 |
| 16 | ვიბრატორი | 2 |
| 17 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 18 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 10 ტ | 7 |
| 19 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 1 |
| 20 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

-- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

-- ცნობას სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

-- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 26 ივლისის 1000 საათიდან 2005 წლის 26 ივლისის 1700 საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# ქალების შესახებ

თამარ ბაბუაძე



"ისი პარის" მაღაზიათა ქსელის ბოლო საზაფხულო პრეზენტაციამ საშუალება მოგვცა, ერთ "გიჟ" გერმანულ ფირმაზე დაგვეწერა. თუმცა, მივყვეთ თავიდან. პრეზენტაცია მუქარით დასრულდა: "მამაკაცებო, გაფრთხილდით!" ყველაზე პარადოქსული კი ის იყო, რომ ლოზუნგი მამაკაცსვე ეკუთვნოდა. ბრუნო ბანანის ბრენდის მამაკაცი შემქმნელები ყველას ეუბნებოდნენ, ჩვენს ახალ სუნამოს რომ დაისხამს ქალი, იმ ქალს ერიდეთო. About Women - "ქალის შესახებ" ასე ჰქვია სუნამოს, რომელიც თამამი, ამბიციური, თამაშის მოყვარული თანამედროვე ქალების მთავარ სავიზიტო ბარათად დასახეს და მამაკაცებიც ამიტომ გააფრთხილეს მკაცრად.

ბრუნო ბანანის ახალი ქალი არა მარტო თამამია - ის ორი სიმპათიური ყმაწვილის ხელებით გაკეთებულ ტახტრევანზე ზის, მაცდურად იღიმება და თავზე პატარა რქებიც აქვს დამაგრებული. სუნამო კი, რომელიც ამ ჯადოსნურ ქალურ ძალას ჰმატებს მას, ქალისავე ფორმის ფლაკონშია ჩასხმული, გამჭვირვალე ცისფერი დაჰკრავს და მწვანე ვაშლისა და წითელი ფორთოხლის წყალობით ნამდვილ საზაფხულო სურნელს აფრქვევს. მერე სურნელისგან ვარდი, ია და შროშანი რჩება, ბოლოს კი - მუსკუსი, ტონკა ბინი და სანდალოზის არომატი. მოკლედ, სუნამოს შემქმნელები გვარწმუნებენ, რომ მათ ხილოვან-ყვავილოვანი თავბრუსდამხვევი მიქსი შექმნეს, რომელიც ქალს საშუალებას აძლევს იყოს ყველანაირი.

About Women - თბილისში მხოლოდ პარფიუმერული ფორმით იყიდება. ბრუნო ბანანის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ნამდვილი ომია გამოცხადებული: ერთ მხარეს სუნამოს ფლაკონი წევს, მეორე მხარეს ქალი იმავე ფერებში, ტრაფარეტი კი გვამცნობს: "სუნამო საცვლების წინააღმდეგ". დიახ, About Women თხევად-სურნელოვანთან ერთად თეთრეულის კოლექციის სახითაც იყიდება.

თქვენ კი, ცხადია, პირველივე წამებში მოგჭრიდათ თვალს ახალი სუნამოს ერთი პატარა დეტალი, სინამდვილეში კი - მთავარი ინტრიგა - მომხიბვლელი ქალის თმიდან ამოზრდილი ვარდისფერი რქები. კონსერვატორებისთვის ეს გამაღიზიანებელია, ბრუნო ბანანისთვის კი - უბრალო თამაში და კომპანიის ფილოსოფიის კიდევ ერთი გამოვლინება; ფილოსოფიის, რომელსაც რამდენიმე სიტყვით ასე გადმოსცემენ: ნონკონფორმიზმი, არადოგმატურობა, კოსმოპოლიტობა, ექსპერიმენტებისა და სიურპრიზების სიყვარული.

ამჯერად ამ ფასეულობებს ვარდისფერი რქები და ქალური სამყაროს გახსნის ამბიცია გამოხატავს, ადრე კი უფრო თამამი პროექტებიც ყოფილა: 1998 წლის 13 აგვისტოს ბრუნო ბანანის კოლექციის საცვლები კოსმოსში, "მირ"-ის სადგურზე გაფრინდა, წარმატებით გაუძლო კოსმოსს და სკანდალური შტამპიც მოიპოვა: Space proof - "უძლებს კოსმოსში ფრენას". 2001 წელს ექსპერიმენტი განმეორდა. ამჯერად ბრუნო ბანანის თეთრეულის გამოცდა წყალქვეშ დააპირეს. მიზანი კვლავაც ამბიციური იყო - ოკეანის ფსკერი. თუმცა, საჭირო იყო კიდევ მეტი ადრენალინის გამოყოფა და საცვლების არა უბრალოდ ოკეანის ფსკერზე ჩაიტანეს, არამედ ბერმუდის სამკუთხედის მიდამოებში აცურავეს. შემდეგ შტამპიც სახეზე იყო - Ocean proof - "უძლებს ოკეანეს".

ასე რომ, დაიჯერეთ, ბრუნო ბანანი ახალგაზრდა სახელია (სულ 1993 წელს დაარსებული), მაგრამ უნიკალური თავისი ამბიციური და გაბედული პროექტებით. დევიზიც Not For Everybody სრულიად გულწრფელია - ბრუნო ბანანი ყველასთვის ნამდვილად არ არის. მისი უახლესი სუნამოც About Women მხოლოდ იმ ქალებმა უნდა იპკურონ, რომელთაც სურთ თავიანთი დაფარული ქალური ბუნების ბოლომდე გახსნა.


## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

London School of Commerce (LSC) ...STM (ლონდონი) ...
University of sunderland ... UEL ... University of Wales Newport ...
... 2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc

£3950

BA (Hons) ... £ 5950

... £ 1000 ...

ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk









შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხვადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა



## 9 ივლისიდან "საქართველოს რკინიგზა" ახალ მომსახურებას გთავაზობთ




- თბილისი - ბათუმის მიმართულებით მოძრაობას იწყებს ახალი, ევროპული სტანდარტების ღამის მატარებელი.
- ჩვენ, სასიამოვნო მგზავრობასთან ერთად კომფორტულ მომსახურებას გპირდებით.
- "საქართველოს რკინიგზა" ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ.
- გახსოვდეთ, ახალი მატარებელი თქვენი კომფორტის მატარებელია.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
564 760
563 117



